საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუნი სიფაქვაა, ფაქტიერებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკარტისიბაგზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 21 აპრილი. 2023 წ. №44 (9576) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ჟურნალისტური ძიებანი

შავბნელი გადაზიდვები

„ფარული დინებები დასტურდება“... მეზობლები ალტერნატიული გზების ძიებაში და საქართველოს მიზანი

ევროპულმა სასამართლომ საქართველოს მორიგი სარჩელი რუსეთის წინააღმდეგ დასაშვებად ცნო

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს საჩივარი საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“ ერთხმად დასაშვებად ცნო. როგორც სტრასბურგის სასამართლოს ვებგვერდზეა აღნიშნული, ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და შემდგომ ეტაპზე მას გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვება.

საქმე ეხება საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიასა და საქართველოს რეგიონებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზებს გასწვრივ ადამიანის უფლებების მდგომარეობის სავარაუდო გაუარესებას.

სარჩელი საქართველოს ხელისუფლებამ სტრასბურგის სასამართლოში 2018 წლის 22 აგვისტოს წარადგინა. ეს „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“ სახელმწიფოთაშორისი მეოთხე განაცხადია.

თუ სასამართლო წელში არ გაიმართა, სულ ასეთი ღატაკნი და მაჩანჩალები ვიქნებით!!!

მოსამართლეებისადმი სოლიდარობის მიზნით, საპარლამენტო უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ გაიარონ რეგისტრაცია კენჭისყრამდე. შესაბამისად, კვორუმის არარსებობის გამო, სასამართლო სისტემაში კორუფციული და სხვა სახის სამართალდარღვევების შესწავლის მიზნით, დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხზე კენჭისყრა ვერ შედგა.

„ბონიერი შერეკილები“

ადამიანი-რეკორდი – ასეთად იცნობს სპორტის ქომაგი გოდერძი მახარაძეს, რომელიც უკვე რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ახალ-ახალი მიღწევებით გვახარებს.

იხ. 10 გვ.

ემსახურებოდა თუ არა CREDIT SUISSE ნაცისტებს?!

იხ. 8 გვ.

თუ უკრაინას არ დავეხმარეთ, 8 რუსეთი გაიმარჯვებს...

რეზინ მეტრეველი: წარუშლელი კვალი კავკასიელი ხალხის ბედსა და მეხსიერებაში

მოგონებები აზერბაიჯანის ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის შესახებ

იფთარი – ერთობის კიდევ ერთი დასტური!

იფთარის აღნიშვნა არის ჩვენი ერთობის, ჩვენი ძმობისა და მეგობრობის კიდევ ერთი დასტური, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს მუსლიმი თემის პატივსაცემად გამართულ იფთარზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„გულითადად გილოცავთ რამადანის წმინდა თვეს და დიდ მადლობას მოგახსენებთ იფთარზე მობრძანებისთვის. მე განსაკუთრებული პატივისცემით მინდა, მივესალმო ჩემს მეგობრებს, ჩვენი ძვირფასი მუსლიმი თემის სულიერ ლიდერებს. მინდა, ყველა მუსლიმს, ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს მივულოცო რამადანის წმინდა თვე. ბატონმა ზაზამ სწორად აღნიშნა, რომ ჩვენ ეს ტრადიცია რამდენიმე წლის წინ დავიწყეთ, რომელსაც წარმატებით ვაგრძელებთ.

იფთარის აღნიშვნა არის ჩვენი ერთობის, ჩვენი ძმობისა და მეგობრობის კიდევ ერთი დასტური. თქვენ იცით, რომ ჩვენ ერთმანეთის რწმენას, ტრადიციას, კულტურას განსაკუთრებულ პატივს ვცემთ. ეს არის საგანძური, რითიც ჩვენ, ყველანი, ვამაყობთ. ეს ჩვენი მემკვიდრეობა დაგვიტოვეს ჩვენმა წინაპრებმა. ამიტომ ყოველი ხელისუფალი არის ვალდებული, რომ ეს მემკვიდრეობა, ეს ჩვენი საგანძური შეინარჩუნოს, განამტკიცოს და გადასცეს მომავალ თაობას. ჩემო ძმებო, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველო არის ისტორიულად მშვიდობიანი, რელიგიური თანაცხოვრების, თანაარსებობის ქვეყანა და, მე ვიტყოდი, ტოლერანტობის ცენტრი“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, ჩვენი ქვეყანა გამორჩეულია მუსლიმი თემის ერთობის თვალსაზრისითაც.

საქართველოს მუსლიმი თემის პატივსაცემად გამართულ იფთარზე სიტყვით გამოვიდნენ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე, დასავლეთ საქართველოს მუფთი ადამ შანთაძე, საქართველოს მუსლიმთა შეიხი რამინ იგიდოვი, აღმოსავლეთ საქართველოს მუფთი ეტიბარ ემინოვი. იფთარს აღმასრულებელი, საკანონმდებლო ხელისუფლებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ეს ჩვენი ღირსების საქმეა!

ქალაქებისა და კურორტების განვითარება ძალიან კარგია, სახელმწიფო თანხის მკაცრი კონტროლი კი – აუცილებელი!

როგორც ვნერდით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ქალაქებისა და კურორტების განვითარების ახალი სახელმწიფო პროგრამა იწყება.

ახალი პროგრამა 5 წლიანია და მას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთი მილიარდი ლარი მოხმარდება.

პროგრამის პირველ ეტაპზე შერჩეულია 11 მდებარეობა: **ბორჯომი, ბაკურიანი, ქუთაისი, წყალტუბო, თელავი, ზუგდიდი, ბათუმი, მცხეთა, სტეფანწმინდა, მესტიის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები.**

„პირველ ეტაპზე 11 მდებარეობა იქნა შერჩეული. წარმოდგენილია როგორც ქალაქები, ასევე კურორტები იმდაგვარი სახით , რომ შესაბამისი არეალური განვითარება მოხდეს, რაც მათ ახალი მიზიდულობის ცენტრებად წარმოაჩენს და შემდგომში კიდევ უფრო მნიშნელოვან დატვირთვას მისცემს. პროცესი გაგრძელდება, თუმცა ეს არის საწყისი ეტაპი. შესაბამისი არეალები რომელზეც იყო მსჯელობა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ითვალისწინებს სწორედ იმ ძალიან საინტერესო მდებარეობებს, რომელიც ისტორიულად არსებობდა თითოეულ ამ ჩამოთვლილ ადგილას. მაგალითად, ბორჯომის შემთხვევაში ვსაუბრობთ ძველი ისტორიული ბორჯომის მდებარეობასა და ბორჯომის ცენტრალურ პარკზე. ძველი ისტორიული ქუთაისი, რომელიც არეალში მოიცავს როგორც ძველ უბანს, ასევე გათვალისწინებულია ქუთაისის ბოტანიკური ბაღის განახლება, რაც ნამდვილად საინტერესო ატრაქციაა როგორც შინაარსობრივი, ასევე ტურისტული თვალსაზრისით. თელავში მოიაზრება ბატონის ციხის მიმდებარე ტერიტორია, თვითონ ბატონის ციხის კონცეფციის განვითარება და შემდგომში განხორციელება, ასევე შედის თელავის თეატრი, რომლის განახლება-რეკონსტრუქციაც მოხდება და ასე შემდეგ“, – აღნიშნა ირაკლი ქარსელაძემ.

პირველი ეტაპის სამუშაოებისთვის, 2023 წლის ბიუჯეტში, 200 მილიონი ლარი უკვე გათვალისწინებულია. სამუშაოები რამდენიმე ფაზად განხორციელდება. პროგრამა ითვალისწინებს ქალაქებისა და კურორტების ისეთი არეალების განვითარებას და იერსახის განახლებას, რომელიც მათ პოტენციალს მნიშვნელოვან დატვირთვას შესძენს და ახალ მიზიდულობის ცენტრებს გააჩენს. პროგრამას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითრების ფონდი განახორციელებს.

თბილისში ახალი პროექტი - „ცენტრალ პარკ თაუერსი“ განხორციელდება

ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი ახალი პროექტის – „ცენტრალ პარკ თაუერს“-ის პრეზენტაციას დაესწრო, რომელიც თბილისში, ყაზბეგის გამზირზე „ორბი ჯგუფის“ მიერ ხორციელდება. ინფორმაციას ეკონომიკის სამინისტრო ავრცელებს.

პრეზენტაციის ფარგლებში, ასევე, გაიმართა კომპანიასა და საერთაშორისო სასტუმრო ოპერატორ „რედისონ ბლუ“-ს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმების ცერემონიალი – „ცენტრალ პარკ თაუერსი“ 1500-ნომრიანი, ოცდახუთი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების ჰაბია, სადაც 150 ნომერზე სწორედ „რედისონ ბლუ“ დაიწყებს ოპერირებას.

„უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის პროექტები არამარტო საინვესტიციო კუთხითაა მნიშვნელოვანი, არამედ ქმნიან ახალი მიზიდულობის ცენტრებს ტურიზმისთვის, რადგან ესაა სასტუმრო კლასტერი. თავისთავად, ეს არის ორიგინალური პროექტი და პირველად საქართველოში განხორციელდება – ერთი ბრენდული სასტუმროს „რედისონ ბლუ“-ს გვერდით იქნება წარმოდგენილი ათი სხვადასხვა სასტუმრო სხვადასხვა მფლობელის ქვეშ, მაგრამ აქვე იქნება გაერთიანებული, საერთო მულტიფუნქციური სივრცეები, რომლითაც სტუმრები ისარგებლებენ. ვფიქრობ, ეს ინოვაციური პროექტი შექმნის ახალ მიზიდულობას და ქვეყანაში ახალ ტურისტულ ნაკადებს გაჩენს“, – აღნიშნა ვიცე-პრემიერმა.

კელი დეგნანი: მიდით პარლამენტში და წაგახალისებთ!

ამერიკის შეერთებული შტატები ყოველთვის წაახალისებს ყველა პოლიტიკურ პარტიას საქართველოში, მივიდნენ პარლამენტში და უზრუნველყონ მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობა საკანონმდებლო ორგანოში, სწორედ ამისთვის არის შექმნილი ეს ინსტიტუცია, – ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა განაცხადა.

მისი თქმით, სასარგებლო არასდროს არ არის, როდესაც პარტიები მოიკოტს უცხადებენ საპარლამენტო სესიებს.

„ამერიკის შეერთებული შტატები ყოველთვის წაახალისებს ყველა პოლიტიკურ პარტიას საქართველოში, მივიდნენ პარლამენტში და უზრუნველყონ მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობა საკანონმდებლო ორგანოში. სწორედ ამისთვის არის შექმნილი ეს ინსტიტუცია. ასე რომ, სასარგებლო არასდროს არ არის, როდესაც პარტიები მოიკოტს უცხადებენ საპარლამენტო სესიებს. ამ შემთხვევაში, როგორც არაერთხელ ვთქვით, ეს არის შესაძლებლობა საქართველოს ხელისუფლებისთვის, გამოიძიოს კორუფციის შესახებ მრალდებები სასამართლო სისტემაში, რაც ფართოდ იყო ცნობილი წლების განმავლობაში“, – განაცხადა კელი დეგნანმა.

ჩვენ ჩავატარეთ მიმოხილვა, რომელიც მივიდა სახელმწიფო მდივნამდე

ჩვენ ჩავატარეთ ძალიან საფუძვლიანი მიმოხილვა, შევაგროვეთ ინფორმაცია, რომლის უმრავლესობა არის საჯაროდ ხელმისაწვდომი, იქამდე, სანამ ამას ჩავუშვებდით სისტემაში, რომელიც მიდის სახელმწიფო მდივნამდე. სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა დაამტკიცა ეს შეზღუდვები, რადგან ჩვენ აბსოლუტურად ვიყავით დარწმუნებულები ამის საფუძვლებში, – ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა განაცხადა.

მისი თქმით, შეერთებული შტატები აბსოლუტურად დარწმუნებულია იმაში, რაც დაედო საფუძვლად ამ ოთხი ინდივიდისთვის სანქციის დაწესებას.

„მინდა ძალიან ცხადად ვთქვა, იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან ბევრმა გააკეთა განცხადება, თითქოს ჩვენ არ ვართ კარგად ინფორმირებულები – არავითარ შეცდომას ადგილი არა აქვს. ამერიკის შეერთებული შტატები აბსოლუტურად დარწმუნებულია იმაში, რაც დაედო საფუძვლად ამ ოთხი ინდივიდისთვის სანქციის დაწესებას, რაც გულისხმობს მათ ჩართულობას კორუფციულ აქტივობაში. ჩვენ ჩავატარეთ ძალიან საფუძვლიანი მიმოხილვა, შევაგროვეთ ინფორმაცია, რომლის უმრავლესობა არის საჯაროდ ხელმისაწვდომი, იქამდე, სანამ ამას ჩავუშვებდით სისტემაში, რომელიც მიდის სახელმწიფო მდივნამდე. სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა დაამტკიცა ეს შეზღუდვები, რადგან ჩვენ აბსოლუტურად ვიყავით დარწმუნებულები ამის საფუძვლებში.

როგორც უკვე ვთქვი, ეს არის შესაძლებლობა საქართველოს ხელისუფლებისთვის, რომ თავად გამოიძიოს ეს მრალდებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იმავე საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით და სხვა ინფორმაციაზე დაყრდნობით. ვიმედოვნებ, რომ საქართველოს ხელისუფლება გამოიყენებს ამ შესაძლებლობას, ჩაატაროს საკუთარი გამოძიება ამ მრალდებებთან დაკავშირებით, იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც ფართოდ ხელმისაწვდომია და წლების განმავლობაში ცნობილია“, – განაცხადა კელი დეგნანმა.

მხარს ვუჭერ აქციას და ამით ვიცავ სახელმწიფოებრიობას!

ანუ, მე მოვდივარ! თქვენ?!

ფართომასშტაბიანი აქციის თარიღი ცნობილია – 30 აპრილი, 18 საათი.

რაც არ უნდა ხალხის შეცდომაში შეყვანა მოინდომონ, თუნდაც „უცნობზე“ მანიპულირებით (ზოგი წერს, რომ „უცნობის“ აქციაზე არ წავა), დარწმუნებული ვარ, კრიტიკული მასა აუცილებლად შეიკრიბება – ეს იქნება პირდაპირი გზავნილი დესტრუქციული ოპოზიციისთვის და მათი მხარდამჭერი ევრო-ამერიკელი ჩინოვნიკებისთვის.

ასეთი ფართომასშტაბიანი აქციის აუცილებლობაზე, ჯერ კიდევ 7-8 წლის წინ ვწერდი – მაშინაც ვამბობდი, რომ უნდა გაგვეპროტესტებინა ხელისუფლების ლოიალური დამოკიდებულება ფაშისტური რეჟიმის ნარჩენების მიმართ, რომლებიც კოჰაბიტაციით „გაბლატავებულნი“ ძალისმიერი მეთოდებით ხელისუფლებაში დაბრუნებით იმუქრებოდნენ.

უკვე გვიანია იმაზე საუბარი, აწყობდა თუ არა დღევანდელ ხელისუფლებას „ნაციონალური მოძრაობა“ ჰყოლოდა მუდმივ საფრთხობელად, თუმცა, ისიც კარგად ვიცით,რამხელა ზეწოლა იყო ხელისუფლებაზე, რომელსაც ხშირად აიძულებდნენ,მიეღო ანტიქართული გადაწყვეტილებები.

სწორედ, ამის გათვალისწინებით იყო საჭირო ხალხის ერთობა, იგივე ხალხის ძალის დემონსტრირება, რომ, ჯერ ერთი, გვეიძულებინა ხელისუფლება, გაეთვალისწინებინა საზოგადოების მოთხოვნები, მეორეც, დაენახა დესტრუქციული ოპოზიციის მხარდამჭერებს შინ და გარეთ, რომ ხალხის მოთხოვნა იყო კოჰაბიტაციის დასრულება და დამნაშავე რეჟიმის გასამართლება!

ეს ასე არ მოხდა, რის გამოც ქვეყანა ბევრი ანტიქართული გადაწყვეტილებების მსხვერპლი გახდა (ვგულისხმობ, ანტიდისკრიმინაციულ და იუვენალური იუსტიციის შესახებ კანონებს და სხვა ანტიქართულ ინიციატივებს).

ცუდია, რომ, ხელისუფლების ნებისმიერი კრიტიკა ყოველთვის აღიქმებოდა „ნაციონალების“ წისქვილზე წყლის დასხმად, რამაც უარყოფითი შედეგები მოგვიტანა.

დღეს, როცა სერიოზული გამოწვევების წინაშე ვდგავართ, ხელისუფლების კრიტიკის და მისთვის ანგარიშსწორების დრო ნამდვილად არ არის – საჭიროა საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა, რომ მაქსიმალურად ვეცადოთ შევინარჩუნოთ სიმშვიდე და დესტრუქციულ ძალებს – შინ და გარეთ, არ მივცეთ ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის და საქართველოს რუსეთთან ხელახალ კონფლიქტში ჩართვის საშუალება!

დიახ, დღეს სახელმწიფოებრიობის გადარჩენა ხელისუფლების გადარჩენაზე გადის,თუმცა, ეს არ ნიშნავს, პარალელურად არ ვემზადოთ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის.

ერთი რამ ფაქტია:

თუ მშვიდობიანად მივედით არჩევნებამდე, დღევანდელი კრიმინალური ოპოზიციური სპექტრის იმიჯის გათვალისწინებით, არ არის გამორიცხული, ხელისუფლება რეალური ოპოზიციის გარეშე დარჩეს, რისი დაშვებაც არ შეიძლება.

ამიტომ, აქედანვე უნდა ვემზადოთ, რომ გამოჩნდეს ალტერნატიული ოპოზიციური პოლიტიკური ძალა, რომელიც დღევანდელ კრიმინალურ ოპოზიციას ჩაანაცვლებს!

თუ ეს ვერ მოხერხდა მიზეზთა და მიზეზთა გამო, აუცილებელია პროფესიონალი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებისგან ჩამოყალიბდეს სახალხო (საზოგადოებრივი, სამოქალაქო) დარბაზი, რომელიც იქნება ხელისუფლების ლეგიტიმური ჯანსაღი ოპონენტი და ამავდროულად, იგივე ხელისუფლებას, დაეხმარება შიდა და გარეშე მტრების მხრიდან წამოსული დესტრუქციული, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების განეიტრალებაში.

30 აპრილის აქციამ სწორედ ამას უნდა დაუდოს სათავე. მე მოვდივარ! თქვენ?!

ზაურ ნაჭყებია

რამდენს ბედავენ ნაციონალები!!!

აქციების ჩატარების გამოცდილება უცნობს ნაციონალების დროიდან მოყოლებული დაუგროვდა. ყველაზე ხალხმრავალი იყო 2008 წელს იპოდრომზე მოწყობილი აქცია, სადაც უცნობმა თითქმის მთელი ქალაქი შეკრიბა და ამით გააპროტესტა სააკაშვილის რეჟიმი, თუმცა წლების შემდეგ აღიარა, რომ 2008 წლის აქცია სააკაშვილთან შეთანხმებით დაშალა.

სააკაშვილმა გია გაჩეჩილაძე მოსალაპარაკებლად შავნაბადაზე მიიწვია და სთხოვა, ახლა გაჩერდი, რადგან ინაუგურაციაზე სტუმრები უნდა ჩამოვიდნენ, ხომ იცი, სისხლისღვრის ატეხვა შემიძლია ისე, რომ ამ ფაქტს არავინ გააშუქებსო. უცნობიც დათანხმდა, რადგან მიშა სისხლისღვრას არ მოერიდებოდა, მიტინგის დაშლის სანაცვლოდ უცნობმა მთელი საქართველოს მასშტაბით სატელევიზიო სიხშირე მიიღო.

„ინაუგურაცია ჩაატარა თუ არა, სააკაშვილმა მეორე დღესვე გადამაგდო“, – იხსენებდა გია გაჩეჩილაძე.

დღეს უცნობი კვლავაც ქუჩაში უხმობს თანამოაზრეებს. სავარაუდოდ, მისი სურვილია, დაანახოს მთელ მსოფლიოს, რომ საქართველოს მოსახლეობას მხოლოდ ის ადამიანები არ წარმოადგენენ, ვინც მარტის აქციებისას აგრესიას გამოხატავდა. საქართველოს მოსახლეობაა ისიც, ვინც მთელი ამდენი ხნის განმავლობაში მდუმარედ ელოდა, როდის შეწყვეტდნენ ნაცები და მათ მიერ გამოყვანილი დესტრუქციული ძალები რევანშის მცდელობას. საქართველოს მოსახლეობაა ისიც, ვინც ნაცების ძალადობრივ რეჟიმს 9 წლის განმავლობაში აპროტესტებდა, მაგრამ ახლა ყელში ამოუვიდათ მათი აბსურდული და შეურაცხმყოფელი მიტინგები, რომლის ერთადერთი დევიზია – Free Misha.

ამდენი ხნის განმავლობაში „ქართული ოცნების“ მომხრეები თავს იკავებდნენ მასობრივად ქუჩაში გამოსვლისგან და იმის გაპროტესტებისგან, რომ „ნაციონალებს“ მორალური უფლება არ ჰქონდათ რევოლუციური ტალღისკენ წაეყვანათ პროცესები.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ქუჩაში გამოსვლის მოტივი მომწიფებულია და ეს მოტივი ხშირად ფიგურირებს სოციალურ ქსელებში დაგროვილი განწყობით, რამდენს ბედავენ ნაციონალები, მათ უნდა იცოდნენ, რომ ჩვენც ვარსებობთ, ვისაც გვახსოვს ცხრაწლიანი რეჟიმი.

„მარტის აქციების დროს დასავლეთმა ხაზი გაუსვა, რომ ქუჩაში გამოსულმა ხალხმა თითქოს დაიცვა დემოკრატია. დასავლეთმა ეს განცხადება ისე გააკეთა, რომ არც კი შეხედა, მარტის აქციებისას კოქტეილები თუ იყო, რისი კოქტეილები იყო, ხომ არ იყო ეს „მოლოტოვის კოქტეილები“. უცნობის მიერ მოწყობილი აქციის მიზანიც ეს არის, დასავლეთმა დაინახოს, ქართველი საზოგადოების მხარდაჭერა რას აქვს, რა მიმართულებას. ცხადია, საქართველოში მხარდაჭერა აქვს დასავლურ მიმართულებას, რადგან ყველა ეს ადამიანი, მათ შორის, უცნობიც ხაზს უსვამს, რომ მათი ინტერესის მიმართულებაა დასავლეთი, ოღონდ დასავლეთის მიმართაც მათ აქვთ პრეტენზიები“, – აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

მისივე მოსაზრებით, დასავლეთის მიმართ პრეტენზიები მხოლოდ საქართველოში არ აქვთ, ცოტა ხნის წინ საფრანგეთის პრეზიდენტმაც იგივე თქვა, რომ ამერიკის მოკავშირეობა სულაც არ ნიშნავს მის ვასალობას. დღეს უკვე **შარლ მიშელმაც** წაუყენა პრეტენზიები აშშ-ს და ეს ნამდვილად საყურადღებოა, რადგან ჩვენც პრეტენზიები გვაქვს აშშ-სთან, თანაც, იმავე შინაარსის პრეტენზიები, რომ ამერიკელები უკანონოდ ერევიან ჩვენს საქმეებში, მორალურიდან დაწყებული, იურიდიული და დიპლომატიური კანონების დარღვევით დამთავრებული.

ამდენად, რამაზ საყვარელიძე ფიქრობს, რომ უცნობის მიერ დაანონსებული აქციის ძირითადი ნაკადი შეიძლება წავიდეს იმავე მიმართულებით, რამაც ახლახან გაიუღერა და რაც წამყვანია დასავლეთში, რომ დასავლეთი იყოფა ორ ნაწილად, ევროპად და ამერიკად და ევროპა მოითხოვს ჩაურევლობას ამერიკის მხრიდან, რასაც ითხოვს საქართველოც. შეიძლება მომავალ აქციებში ამ საკითხისადმი ევროპის სოლიდარობა გახდეს წამყვანი.

მანანა ნოზაძე

ირაკლი კობახიძე: უკან დაიხიეს, მაგრამ...

გაზეთებიდან და ტელევიზიებიდან გაუგიათ თურმე ვიღაცებს, რომ კორუფციაში იყო ჩართული რამდენიმე მოსამართლე და ამის გამო დააწესეს ე.წ. სანქციები. შემდეგ უკან დაიხიეს და თქვეს, რომ ეს არ არის სანქცია, არამედ სავიზო შეზღუდვა. „მთავარზე“, „ტვ პირველზე“ და გაზეთ „ალიაში“ რაღაცას რომ წაიკითხავ, ეს არის თურმე საკმარისი საფუძველი, რომ მოსამართლე დაასანქცირო, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა. კობახიძის თქმით, ერთის მხრივ, მიკერძოებულ მედიებზე დაყრდნობით ასანქცირებენ მოსამართლეებს, მეორეს მხრივ, სადაც BBC და გამოძიება ამბობს, რომ კეზერაშვილი ბრალდებულია ძარცვაში, იქ ამბობენ, რომ გამოძიება უნდა გაგრძელდეს.

„მოსამართლის მიმართ მოქმედებს ყველაზე მაღალი ხარისხით დამოუკიდებლობის სტანდარტი და, შესაბამისად, დისციპლინური წარმოების სანქცირების სტანდარტი. მაგალითად, ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, გამორიცხულია, რომ უტყუარი მტკიცებულების გარეშე ვინმემ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყოს მოსამართლის წინააღმდეგ და გაფრთხილებასაც კი ვერ მისცემ. ასეთ პირობებში ვიღაც გეუბნება, რომ არ მაინტერესებს არც დისციპლინური წარმოების სტანდარტები, არც მტკიცებულებები, არაფერი, უბრალოდ, შემიძლია, „მთავარი არხიდან“, „ალიადან“ და ნოდარ მელაძისგან მიღებული ინფორმაციით ვიღაცას ვუწოდო კორუმპირებული და დავასანქცირო.

გამაოგნებელი იყო დღეს კიდევ ერთი განცხადება შესაბამისი პირის მხრიდან, რომ კეზერაშვილი თურმე უარყოფს საკუთარ ბრალდებას ევროპელი პენსიონერების ძარცვასთან დაკავშირებით და ამიტომ არის საჭირო გამოძიების მოლოდინი. ანუ, ერთ შემთხვევაში შეგიძლია, წაიკითხო „ალია“, უყურო „ტვ პირველს“, გამოიტანო დასკვნები და დაასანქცირო მოსამართლე და მეორე შემთხვევაში არის ქართული მედია, ყველაზე რეიტინგული მედიასაშუალებები, რომლებიც უკვე დიდი ხანია, საუბრობენ კორუფციულ სკანდალებზე, რაც კეზერაშვილს უკავშირდება, არის ქართველი და გერმანელი პროკურორების ერთობლივი გამოძიება და უკვე BBC-ის მიერ მომზადებული სიუჟეტი. ანუ, ერთ მხარეს არის პოლიტიკურად მიკერძოებული ორი, სამი მედიასაშუალება – „ალია“ და „ტვ პირველი“, რომლებიც საუბრობენ, რომ ოთხი მოსამართლე არის კორუმპირებული და მეორე მხარეს არის BBC, ყველაზე რეიტინგული ქართული მედიასაშუალებები, ოფიციალური გამოძიება ქართულ-გერმანული, რომლებიც პირდაპირ ამბობენ, რომ კეზერაშვილი არის ბრალდებული ევროპელი პენსიონერების ძარცვაში და თურმე აქ საკმარისია, რომ კორუმპირებული დაუძახო ოთხ მოსამართლეს და იქ კი არაფერია საკმარისი და გამოძიება უნდა გაგრძელდეს“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

თუ სასამართლო წელში არ გაიმართა, სულ ასეთი ღატაკნი და მაჩანჩალები ვიქნებით!!!

მოსამართლეებისადმი სოლიდარობის მიზნით, საპარლამენტო უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ გაიაროს რეგისტრაცია კენჭისყრამდე. შესაბამისად, კვორუმის არარსებობის გამო, სასამართლო სისტემაში კორუფციული და სხვა სახის სამართალდარღვევების შესწავლის მიზნით, დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხზე კენჭისყრა ვერ შედგა. სხდომაზე რეგისტრაცია მხოლოდ 51-მა დეპუტატმა გაიარა, შესაბამისად, კვორუმი არ შედგა. დიდი ალბათობით, პარლამენტის საგამოძიებო კომისია არ შეიქმნება.

უმრავლესობის გადაწყვეტილებას სხდომათა დარბაზში ტრადიციულად, ხმაური და დაპირისპირება მოჰყვა. საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა **გურამ მაჭარაშვილმა** „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარეს, **ხათუნა სამნიძეს** მიმართა, რომ საგამოძიებო კომისიის თეორიულად შექმნის შემთხვევაში, თუ აპირებენ აშშ-ის ელჩის, **კელი დეგნანის,** როგორც ოქროს მოწმის, ანუ მთავარი მოწმის დაბარებას? მისივე განცხადებით, საგამოძიებო კომისიის შექმნის შემთხვევაში, კელი დეგნანის დაბარება საინტერესო იქნება, რადგან, მისი თქმით, საჯარო სივრცეში დასანქცირებული მოსამართლეების წინააღმდეგ მტკიცებულებები არ არსებობს.

პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, **ირაკლი კობახიძემ** ოპოზიციონერ დეპუტატს პლენარულ სხდომაზე შეახსენა რა ხდებოდა 2012-მდე და რა ხდებოდა 2012 წლის შემდეგ, რამ გამოიწვია სტატისტიკური ცვლილება. კობახიძის განცხადებით, 2012 წლიდან სტატისტიკას რომ გადავხედოთ, იქნება ეს გამამართლებელი განაჩენები, წინასწარი პატიმრების მაჩვენებლები, გირაო, ჯარიმები და ა.შ. ამ მხრივ, რადიკალური ცვლილებაა სტატისტიკაში.

კითხვების ადრესატმა, „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარემ, **ხათუნა სამნიძე** უმრავლესობას ასე მიმართა:

„ეს კომისია არ დაინიცირებულა მხოლოდ სანქციების პასუხად. ჯერ კიდევ დეკემბერში იყო ინიციატივა და ეს კომისია დარეგისტრირდა, მაგრამ სანქციების შემდეგ ეს კიდევ უფრო აქტუალური გახდა. ეს არის ერთადერთი საკითხი, სადაც ოპოზიცია არის ერთიანი და აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს. იმედი მქონდა, რომ ამ საკითხში, არც ხელისუფლებისგან წამოვიდოდა ასეთი კითხვები, თურმე 2012 წლამდე რა ხდებოდა.

როცა ვამბობთ, რომ სისტემურ შესწავლაზე იქნება ორიენტირებული ეს კომისა, ეს ნიშნავს იმას, რომ სისტემურ პრობლემებს შეისწავლის და არა რომელიმე საქმეს. რომ მეკითხებით გირგვლიანთან დაკავშირებით, გირგვლიანთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლომ დასკვნა გამოიტანა. ამ სიტყვებსაც წაგიკითხავთ: „გამაოგნებელია ის ფაქტი, რომ არც პროკურატურა და არც ადგილობრივი სასამართლოები არ შეეცადნენ გაერკვიათ საქმის ძირითადი გარემოებები“. ეს ითქვა და ამის გადახედვა გინდათ?

თუ თქვენ თვლით, რომ არანაირ ზეწოლას ადგილი არ აქვს და მურუსიძე დღეს წმინდანი გახდა, როცა თქვენ თვითონ ამბობდით, რომ წინა ხელისუფლების დროს უპრინციპო მოსამართლე იყო და გადაწყვეტილებებზე ზეგავლენას ახდენდა, შევისწავლოთ ეს. თუ არაფერი პრობლემა არ გაქვთ რატომ გეშინიათ?“

* * *

კომისიის შექმნას მხარს უჭერს „ნაციონალური მოძრაობა“ მაგრამ ერთი პირობით – მიზანშეწონილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საგამოძიებო კომისიას უხელმძღვანელებს დეპუტატი, რომელსაც პარტიული კუთვნილება არ გააჩნია. კომისიის მუშაობა დამოუკიდებელი უნდა იყოს.

პარტია „მოქალაქეების“ ლიდერის **ალეკო ელისაშვილის** განცხადებით, ქვეყანას არავითარი პერსპექტივა არ ექნება, თუ სასამართლო სასამართლოს არ დაემსგავსა.

„ლევან მურუსიძე, ჩინჩალაძე და კიდევ რამდენიმე კაცი რომ აზის ამ ქვეყანას თავზე და სასამართლო ჯიბეში ედოთ წინა ხელისუფლების და თქვენი ხელისუფლების დროსაც, ამის გარკვევა გვინდა. ხალხს უნდა ვაჩვენოთ, რომ პერსპექტივა არ ექნება ამ ქვეყანას, თუ სასამართლო სასამართლოს არ დაემსგავსა – სულ ასეთი ღატაკი და მაჩანჩალა იქნება, რადგან არც ინვესტორი გაგეკარება და არც არავინ, ამაზეა ლაპარაკი. არ შეიძლება ერომანეთს ნაცარს ვაყრიდეთ ამ ხნის განმავლობაში, ვითომ არ ვიცით სასამართლოში რა ხდება, ვითომ ახლა გაიგეთ. თქვენ ხართ ხელისუფლებაში და სააკაშვილს თურმე ფული მოუპარავს, კარგით რა, კარგით რა, ნუთუ არ გრცხვენიათ?,“ – განაცხადა **ალეკო ელისაშვილმა.**

დიდი ალბათობით, დროებითი საგამოძიებო კომისია არ შეიქმნება. პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, წესით, სასამართლო სისტემა როდესაც დაასრულებს თავის საქმეს, ამის შემდეგ იწყება საგამოძიებო კომისიისთვის საკითხის გადაცემის პროცესი. პირდაპირ საპარლამენტო კომისიიდან პროცესის დაწყება არც პრეცედენტია და არც ლოგიკით არ არის გამართლებული. ასეთ შემთხვევაში გამოვა, რომ პარლამენტი თავის თავზე იღებს სასამართლო სისტემის ფუნქციას.

„აქ ყველაფერი თავდაყირა დგება. ოპოზიციამ დაასკვნა, რომ რახან ამერიკამ გააკრიტიკა საქართველო, მოდით ჩვენც ამ კრიტიკას ავყვებით და ამ კრიტიკაზე ამერიკულ ქულებს მაინც მივიღებთო. არც ისაა გამორიცხული, რომ თვითონ ამერიკულმა მხარემაც თქვას, რომ საპარლამენტო დონეზე გამოიკვლიეთ ეს საკითხიო. იმიტომ, რომ მოლო პერიოდია ამერიკული მხარე უკვე ისეთ ნაბიჯებს დგამს, რომ არც ერთ ლოგიკაში და არც იურიდიულ სანქციებში არ ჯდება. ამდენად, ძნელი სათქმელია რას იზამენ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი ოპოზიციის ნაბიჯები ამერიკისთვის თავმოწონებისკენ გადადგმული ნაბიჯებია“, – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **რამაზ საყვარელიძემ.**

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** თვლის, რომ არარსებულ ე.წ. კორუფციულ საქმეებზე სასამართლოში დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნა - ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, ზოგადად სამართლიანობასაც და ასევე, ელემენტარულ საღ აზრსაც. ცხადია, მოქმედი სამართლითა და სამართლიანი განსჯით, ყოვლად წარმოუდგენელია ხელისუფლების დამოუკიდებლი შტოს – სასამართლოს მიმართ პარლამენტმა, გარდა სამართლიანი საკანონმდებლო ნორმების დადგენისა, რაიმე სხვა ზემოქმედების ბერკეტი აამუშავოს, რადგან პარლამენტს არა აქვს, არც ექნება და არც შეიძლება ჰქონდეს არანაირი პოლიტიკური ძალაუფლება სასამართლოზე.

„ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მოქმედ მოსამართლეებს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია ვერც კი დაჰკითხავს, რადგან მოსამართლე დამოუკიდებელია, მას გააჩნია დამოუკიდებლობის მყარი, კონსტიტუციური გარანტიები და არავითარი ვალდებულება არა აქვს, უპასუხოს პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიის შეკითხვებს. უარესიც: მოსამართლის დაბარება დაკითხვაზე პარლამენტის მიერ - უკვე შეიძლება შეფასდეს, როგორც სასამართლოს დამოუკიდებლობის ანტიკონსტიტუციური ხელყოფა.

გარდა ამისა, ეს ხომ საღ აზრსაც ეწინააღმდეგება: რადგან არ არსებობს არანაირი კონკრეტული კორუფციული სამართალდარღვევის ფაქტი, რისი გამოძიებაც საერთოდაც შესაძლებელი იქნებოდა. მეტიც: ასეთი ფაქტი რომც არსებობდეს, მოქმედი სამართლით აბსოლტურად ცხადია – იგი, თუკი მოსამართლეების დისციპლინური დევნის ფარგლებში უნდა გამოიძიონ, ეს გამოძიება თავად სასამართლო ხელისუფლების შესაბამისმა ინსტანციამ – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა უნდა წარმართოს;

ხოლო თუ მისი გამოძიებისას გამოიკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, მაშინ – საქმე უნდა დაუყოვნებლივ პროკურატურას გადაეცეს. სრულიად ცხადია ესეც: თუკი ვინმეს აქვს რაიმე მინიშნება მოსამართლეების მიერ კონკრეტული კორუფციული დანაშაულის ჩადენაზე, კეთილი უნდა ინებოს და დაუყოვნებლიც მიმართოს პროკურატურას, წარადგინოს შესაბამისი არგუმენტები და მტკიცებულებები, რათა ქვეყნისათვის სასიკეთო სამართლებრივი შედეგი დადგეს „კორუფცია აღიკვეთოს და დამნაშავე დაისაჯოს. და არა ასე, რომ რაღაც ამსურდული გამოძიება წარმართოს, რასაც, არც ერთ შემთხვევაში, არა თუ პრაქტიკულად, არამედ – არც თეორიულად არანაირი სამართლებრივი შედეგი არ შეიძლება ჰქონდეს“, – წერს **დავით ზარდიაშვილი.**

თამთა ქარჩავა

გუბაზ სანიკიძის სიზმრები

ასეთი ორგანიზებული მარტო ოპოზიცია კი არა, ქართველები დიდგორის გრძოლის მერე აღარ ვყოფილვართ, – ამის შესახებ ოპოზიციონერმა დეპუტატმა, გუბაზ სანიკიძემ პარლამენტში სასამართლოსთან დაკავშირებული საგამოძოიებო კომისიის შექმნის საკითხზე კომენტირებისას განაცხადა.

„ყაზარმულზე ვართ. ძალიან გახარებული ვარ ამ საქმით. იქა ვართ სულ. მორიგეობა არის დარბაზში და ჩვენი ტელეფონები აქვთ კოლეგებს. როგორც კი რაღაც საეჭვო ხდება, იმ წუთშივე ზარები მოდის და ჩავრბივართ დარბაზში. ასეთი ორგანიზებული მარტო ოპოზიცია კი არა, ქართველები დიდგორის გრძოლის მერე აღარ ვყოფილვართ. ისეთი ორგანიზებული ვართ. დღეს დავით ბაქრაძე მოვისაკლისეთ თვალში, თურმე წყლის დასალევად იყო გასული“...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲠᲝᲘᲜ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲰᲔᲘᲓᲐᲠ ᲐᲚᲘᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ



ᲬᲐᲠᲣᲨᲚᲔᲚᲘ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲑᲔᲓᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲮᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ, ᲰᲔᲘᲓᲐᲠ ᲐᲚᲘᲔᲕᲘᲡ ᲓᲐᲒᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 100 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, 2023 ᲬᲚᲘᲡ ᲰᲔᲘᲓᲐᲠ ᲐᲚᲘᲔᲕᲘᲡ ᲬᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘᲪ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲐᲛᲔᲑᲘᲐᲜ. ᲛᲔᲪ ᲕᲣᲔᲠᲗᲓᲔᲑᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲡ ᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ.

უფრო მეტიც, განსაკუთრებით მოხარული ვარ, აზერბაიჯანელ მკითხველს გავუზიარო ჩემი ძვირფასი მოგონებები და გულწრფელი გრძნობები ამ პოლიტიკური მოღვაწის შესახებ, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა კავკასიელი ხალხების გედსა და მეხსიერებაში. გასული საუკუნის 60-იანი წლები მნიშვნელოვანი ცვლილებებით აღინიშნა სამხრეთ კავკასიის როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში. იმ წლებში ჰეიდარ ალიევი აირჩიეს აზერბაიჯანის პირველ ხელმძღვანელად და მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თავისი ქვეყნის განვითარების ყველა სფეროში. მე ვარ ერთ-ერთი იმ იღბლიან ადამიანთაგანი, ვინც ამ დიდ პიროვნებას რამდენჯერმე შევხვედრივარ.



ჩვენი ქვეყნების დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში - 1996 წელს, როცა ვიყავი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, აზერბაიჯანის პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევს მიენიჭა ჩვენი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება. იმავე წლის აპრილის დასაწყისში თბილისს აზერბაიჯანის მეგობარი ლიდერი მრავალრიცხოვან დელეგაციასთან ერთად ეწვია.

ვიზიტის ფარგლებში თსუ-ში გაიმართა შეხვედრა პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევთან. ჩვენი სტუმარი ამ შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან, ორივე ქვეყნის ცნობილ ადამიანებთან, გამოჩენილ ისტორიკოსებთან ერთად მოვიდა, როგორებიც არიან აზერბაიჯანელი აკადემიკოსები ზია ბუნიადოვი და იგრარ ალიევი. საზეიმო ცერემონიაზე მე, როგორც რექტორმა, აზერბაიჯანის პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის დიპლომი გადავეცი. როგორც ჩანს, ის ძალიან კმაყოფილი იყო ჩვენი გადაწყვეტილებით. სიტყვით გამოსვლისას აზერბაიჯანის მეთაურმა საზეიმოდ გამოხატა მოწონება და ყველაზე გულწრფელი გრძნობები.

პრეზიდენტ ალიევს თსუ-ს საპატიო დოქტორის წოდება მიულოცეს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, მეცნიერებმა და სტუდენტებმაც. ძალიან ეფექტური და დასამახსოვრებელი იყო ჩვენი საპატიო დოქტორის გამოსვლა. ჰეიდარ ალიევმა ქართველი ხალხისადმი დიდ სიყვარულზე ისაუბრა, უნივერსიტეტს და სტუდენტებს კეთილი სიტყვებით მიმართა და ჩვენს გუნდს წარმატებები უსურვა.

მეგობარი აზერბაიჯანის მეთაურმა ხაზი გაუსვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების მნიშვნელობას. ჩვენმა საპატიო სტუმარმა ასევე განაცხადა, რომ ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილე უახლოეს წლებში გაიმართება. საზეიმო ცერემონიაზე ვთქვი, რომ პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევის არჩევა თსუ-ს საპატიო დოქტორად ჩვენთვის დიდი პატივი იყო და აღვნიშნე მისი განსაკუთრებული როლი ისტორიული გამოცდის დაძლევასა და ჩვენს ერებს შორის მეგობრობის განმტკიცებაში.

ბოლოს ჩვენს საპატიო დოქტორს დიპლომი და მედალი გადავეცი. ეს მომენტები ისტორიაში განუწყვეტელი აპლოდისმენტებით ჩაიწერა. შემდეგ სახელმწიფოს მეთაურებს ჰეიდარ ალიევს, ედუარდ შევარდნაძესა და ჩემს შორის დეტალური საუბარი შედგა ჩვენს ქვეყნებს შორის სამეცნიერო, საგანმანათლებლო ურთიერთობებისა და კულტურული თანამშრომლობის განვითარების შესახებ. ჩვენ გავცვალეთ მოსაზრებები მთლიანად კავკასიის განვითარების პერსპექტივაზე.

ამ პირველმა შეხვედრამ დიდი კვალი დატოვა ჩემს მეხსიერებაში. ჰეიდარ ალიევი, როგორც დიდი პოლიტიკოსი, იმ წლებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აზერბაიჯანში არა მხოლოდ ეკონომიკის, არამედ კულტურისა და მეცნიერების განვითარებას. მე ვიტყოდი, რომ მაშინაც კი, როცა ჰეიდარ ალიევი პირველად იყო აზერბაიჯანის სათავეში, თქვენი ქვეყანა ავიდა მაღალ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებამდე და განიცადა რენესანსი კულტურის სფეროში.

ამ წლების განმავლობაში ასევე განვითარდა ყოვლისმომცველი მეგობრული ურთიერთობები აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის. დამოუკიდებლობის წლებში ეს გზა უფრო ფართო საზღვრებამდე გაფართოვდა.

ჩემი მეორე შეხვედრა მსოფლიო დონის პოლიტიკოსთან და სახელმწიფო მოღვაწე ჰეიდარ ალიევთან იყო 1999 წელს. იმავე წლის შემოდგომაზე ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილე აღინიშნა. ბაქოში ჩასულ ქართულ დელეგაციას მე ვხელმძღვანელობდი. საიუბილეო ღონისძიებაში თურქეთის დაახლოებით 15 უმაღლესი სასწავლებლის რექტორმა მიიღო მონაწილეობა. ცერემონიას ასევე ესწრებოდა მ.ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვიქტორ სადოვნიჩი. საზეიმო შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა რექტორებთან ცალკე შეხვედრა გამართა. მოგვესალმა და შეხვედრის მნიშვნელობაზე საუბრის შემდეგ სიტყვა რექტორებს მისცა. ჯერ თურქმა რექტორებმა ისაუბრეს, შემდეგ ვიქტორ სადოვნიჩიმ. რადგან ბოლომდე დავრჩი, ვფიქრობდი, რომ ბატონი ჰეიდარ ალიევი შეიძლება დაიღალა ორსაათიანი შეხვედრის შემდეგ. საუბარი არ მინდოდა, მაგრამ აზერბაიჯანის ხელმძღვანელმა მთხოვა გამოსვლა. როცა ამ დიდებულ ადამიანს შევახსენე, რომ თსუ-ს საპატიო დოქტორია, კმაყოფილება გამოთქვა. პატივცემული ჰეიდარ ალიევი ზუსტად 40 წუთის განმავლობაში მელაპარაკა საქართველოსა და ჩვენი მეგობრობისადმი სიყვარულსა და პატივისცემაზე.

ჰეიდარ ალიევი, რომელიც თავისი ტიტანური მოღვაწეობით ბოლომდე თავდადებით და ღირსეულად ემსახურებოდა თავის ხალხს, იყო იშვიათი პიროვნება, რომელიც ასხივებდა დიდ სულიერ სიმდიდრეს. მის მიერ შესრულებული სამუშაო, პრაქტიკული ნამოღვაწარი იმდენად დიდია, რომ ძნელია მისი ყოვლისმომცველი მასშტაბის შეფასება. მე ვიტყოდი, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, რომელიც ასევე ითვლება კავკასიის რეგიონის ლიდერად, იყო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი და სახელმწიფოს მეთაური. ჰეიდარ ალიევის ფენომენი მართლაც ისტორიული და განსაკუთრებული მოვლენაა. ის არის ისტორიული ფიგურა მთელი მსოფლიოსთვის.

თქვენი ქვეყნის მაღალი და ყოვლისმომცველი განვითარება წარმატებით გრძელდება პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ხელმძღვანელობით, ჰეიდარ ალიევის ყველაზე ღირსეული პოლიტიკური მემკვიდრის, დამოუკიდებელი აზერბაიჯანის არქიტექტორისა და დამაარსებლის თავკაცობით. ილჰამ ჰეიდარ ოღლუ არის ღრმად ინტელექტუალური პიროვნება, ძლიერი სახელმწიფოს მეთაური, რომელიც წარმართავს თავის ქვეყანას და იცავს მას უარყოფითი გავლენისგან.

მიმაჩნია, რომ ის მამა ალიევის გზისა და მემკვიდრეობის ღირსეული მიმდევარია. აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა იყო ილჰამ ალიევის მამის ჰეიდარ ალიევის დიდი ოცნების ტრიუმფალური რეალიზება.

წარმატებას და მშვიდობას ვუსურვებ მეგობარ აზერბაიჯანელ ხალხს!..

დასაბეჭდად მოამზადა
ᲜᲐᲠᲘᲛᲐᲜ ᲐᲚᲘᲔᲕᲛᲐ

ᲐᲚᲘᲐᲠᲔᲗ ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲧᲐᲠᲐᲑᲐᲦᲘ! - ᲧᲐᲠᲐᲑᲐᲦᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲐ!



ᲘᲚᲰᲐᲛ ᲐᲚᲘᲔᲕᲛᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ ᲜᲘᲙᲝᲚ ᲤᲐᲨᲘᲜᲘᲐᲜᲡ 2019 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲐᲮᲡᲔᲜᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲤᲐᲨᲘᲜᲘᲐᲜᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ – „ᲐᲠᲪᲐᲮᲘ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘ“. „ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲠᲝ, ᲠᲝᲛ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲛᲐ ᲐᲛ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲘᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲝᲡ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲐᲠᲐᲑᲐᲦᲘ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘ, ᲐᲮᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲛᲔᲝᲠᲝᲡ ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲕᲗᲥᲕᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲧᲐᲠᲐᲑᲐᲦᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲫᲐᲮᲘᲚᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ“, – ᲒᲐᲜᲣᲪᲮᲐᲓᲐ ᲐᲚᲘᲔᲕᲛᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡ.

ᲐᲚᲘᲔᲕᲛᲐ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲨᲘ ᲛᲝᲣᲬᲔᲕᲡ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ „ᲡᲮᲕᲐ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ“.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲜᲘᲙᲝᲚ ᲤᲐᲨᲘᲜᲘᲐᲜᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲡ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔᲡ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ ᲑᲐᲥᲝᲡᲒᲐᲜ.

„ფარული დინებები დასტურდება“... მეზობლები ალტერნატიული გზების ძიებაში და საქართველოს მიზანი

შავბნელი გადაზიდვები

ჯერ კიდევ 2019 წელს იყო ცნობები იმის შესახებ, რომ ოფიციალური ერევანი შავ ზღვაზე ტვირთების გადასაზიდად რუსეთთან გორნეების შექმნის საკითხზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა და იმედოვნებდა, რომ გათუმის ან ფოთის პორტებში ტერმინალის გახსნას შეძლებდა, თუმცა მაშინ ტერმინალის თაობაზე ინფორმაცია კომპანია „ეი პი ემ ტერმინალს ფოთში“ უარყვეს. მას შემდეგ პერიოდულად იძქნდა საკითხი აქტუალობას, რუსეთთან ტვირთბრუნვის გაზრდის კვალდაკვალ კი თემა კვლავ გააქტიურდა სომხურ მედიაში ამჯერად პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანისადმი კრიტიზმით, რომ მისი გადაწყვეტა ამ დრომდე ვერ შეძლეს. „იმის გათვალისწინებით, რომ სომხეთ-რუსეთის ვაჭრობის მოცულობას გოლო დროს, გასაგები მიზეზების გამო, ზრდის ტენდენცია აქვს, თანაც – ორივე მიმართულებით (სასურსათო პროდუქცია, სამშენებლო მასალები, ნავთობპროდუქტები), დღის წესრიგში დგება კითხვა: რა ვქნათ?

(...)სომხური მხარის მიერ ფოთის ნავსადგურის განვითარების მიზნით ინვესტიციების ჩადების შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, რომ პორტში სომხური ნავმისადგომი და სატვირთო ტერმინალი შეიქმნას. თავის დროზე ფოთის მერიის წარმომადგენლები კეთილი თვალით უყურებდნენ და პოზიტიურად იყვნენ განწყობილნი ამ პროექტის მიმართ. უფრო მეტიც – არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, ფოთის აკვატორიაში სომხური შეკვეთებითა და სომხური პროდუქციით დატვირთული უამრავი გემი დაცურავდა. სწორედ იმ დროს გაჟღერდა კომერციული წინადადება... ქართულ-სომხური ფლოტის შექმნაზე, 12 გემის შემადგენლობით, რომელიც წარმოდგენილი იქნებოდა, როგორც სამგზავრო, ასევე – საავჭრო ხომალდებით. ფლოტს ექნებოდა საკუთარი სტატუსი, გემებს ეყოლებოდა სომხური ეკიპაჟი და ექნებოდა სომხური დროშით ცურვის შესაძლებლობა – ყველა ზღვაში და ყველა ოკეანეში“, – აღნიშნავს „გოლოს არმენიი“-ზე გამოქვეყნებული სტატიის „პორტი ქართული, ნავმისადგომი – სომხური“ ავტორი აშოტ არამიანი.

საქმე იმაშია, რომ სომხეთი რუსეთთან დამაკავშირებელი არხების დივერსიფიცირებას დიდი ხანია, ცდილობს, ვინაიდან ერთდაერთი დამაკავშირებელი გზა – ლარსის გამშვები პუნქტი ფაქტობრივად, სეზონურად მუშაობს. სომხეთი ლობირებდა საქართველოსა და რუსეთის დამაკავშირებელი გზის გახსნას, რომელიც სადღეისოდ ოკუპირებულ ცხინვალზე გადის. ასევე არსებობს ცნობები საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნისადმი სომხეთის ინტერესზეც, მაგრამ ორივე შემთხვევაში წამყვანი პოლიტიკური საკითხია: საქართველოს ეს ორი რეგიონი ოკუპირებულია რუსეთის მიერ. სომხეთი იმედიანად უყურებდა 2011 წლის ხელშეკრულების ამოქმედებას, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე შემავალი ტვირთების მონიტორინგს გულისხმობს, თუმცა დოკუმენტის იმპლემენტაცია ამ დრომდე არ მომხდარა (თბილისი და მოსკოვი მის ტექსტს სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირებენ, პრეტენზიები აქვთ ოკუპირებული ტერიტორიების დე ფაქტო ხელმძღვანელებსაც); გარდა ამისა, როგორც ოფიციალურმა თბილისმა თავის დროზე განმარტა, პოლიტიკური შეთანხმების მიღწევის შემთხვევაშიც, ეს გზა არ იქნება საერთაშორისო.

რა ინტერესი აქვს სომხეთს?!

HUB Georgia-ს ექსპერტი **პაატა ცაგარეიშვილი „აქცენტთან“** განმარტავს, რომ ფოთისა და გათუმის პორტებში ახალი ტერმინალის მოსაწყობი ფართობი აღარ არის, საბორნე გემის დაყენებაზე კი იყო საუბრები:

„ლაპარაკია გემ „კავკაზზე“. დრო და დრო ჟღერს, რომ თუ ეს გემი არ დაიტვირთება, სომხეთის მთავრობა პროექტს ფინანსურად თავად დაუდგება გვერდში, თუმცა ვვარაუდობ, რომ ის არ ამოქმედებულა, სხვა შემთხვევაში, სომხური მხარე გააჟღერებდა ინფორმაციას. მაგრამ საქმე იმაშია, რომ „კავკაზი“ რუსეთის რკინიგზის საკუთრებაა, თან არც ისე დიდია – მხოლოდ 28 ვაგონს იტევს. ამ პირობებში ამხელა გემის დაფრახტვა არამომგებიანია“.

ამასთან, ექსპერტი საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელი ერთადერთი არხის – ლარსის გამშვები პუნქტის გადატვირთულობაზე ამახვილებს ყურადღებას:

- **„მხოლოდ სომხეთმა სამჯერ გაზარდა (2022 წელს ამბიციურმა სომხეთმა რუსეთში 2,4 მილიარდი დოლარის ღირებულების ტვირთი გაგზავნა, როცა 2021 წელს მხოლოდ 849 მილიონი დოლარის ექსპორტი განახორციელა) რუსეთში ტვირთის გადაზიდვა. მოხდა ლარსის რეკონსტრუქცია რუსეთის მხარეს, მაგრამ ეს მაინც არ შველის საქმეს. ამას ემატება სხვა ქვეყნების ტვირთებიც: საქართველოს, თურქეთის, ცენტრალური აზიის – მევრი ერიდება კასპიის ზღვაზე გადასვლას, რადგან გემებით გადაზიდვა დროში იწელება. ამიტომ, ურჩევნიათ, ლარსზე გადავიდნენ და კასპიის ზღვას ზემოდან შემოუარონ სახმელეთო გზით.**
- **ამას ემატება რთული კლიმატური პირობები. ერთი კვირის წინაც გაჩერებული იყო ლარსზე მოძრაობა.**
- **გარდა ამისა, მთაგორიან პირობებში 20-25%-ით ძვირდება გადაზიდვა“.**
- **ამიტომ, სომხეთი ეძებს ალტერნატივებს და ამ კონტექსტში რამდენიმე ვარიანტზეა საუბარი:**
- **„სომხეთ-აზერბაიჯანის დერეფანი ჩამოყალიბდეს, თუმცა ამას სჭირდება დრო, ფინანსები და პოლიტიკური ნება;**

- **სომხეთი ცდილობს აფხაზეთის მიმართულების ხელმეორედ გაჭრას“.**

ამავე კონტექსტში მას საყურადღებოდ ეჩვენება ცნობები იმის შესახებ, რომ ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას სურს, ენგურის გავლით გადაზიდვების მოცულობა გაზარდოს:

„აქ მასიურ ტვირთებზე არაა საუბარი, თუმცა პირველი იმპულსია“, – აღნიშნავს ექსპერტი და მიუთითებს იმ ფაქტზეც, რომ ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ ოჩამჩირემდე აღადგინა რკინიგზა. როგორც აფხაზური მხარე ამტკიცებს, სწორედ ამ რკინიგზით შევიდა ოჩამჩირის პორტში საკონტეინერო ტვირთი რუსეთიდან, რომელთა გადაზიდვაც ზღვით თურქეთში განხორციელდა, თუმცა ამ ცნობებს თურქეთი უარყოფს.

„ოჩამჩირიდან ადმინისტრაციულ ხაზამდე – ენგურამდე არც ისე დიდი მანძილია დარჩენილი. აფხაზეთი ავითარებს აზრს, რომ საქართველოს გავლით სატრანზიტო გადაზიდვები მისთვის მნიშვნელოვანია. სომხეთისთვის ეს მიმართულება საინტერესოა რკინიგზა რომც არ აღდგეს და ტრაილერების გატარება დაიწყოს აფხაზეთის მიმართულებით რუსეთისკენ“.

მნიშვნელოვანი დეტალი: ცაგარეიშვილი განმარტავს, რომ ამჟამად წელიწადში დაახლოებით 450 000 ტონა ტვირთი მოდის აფხაზეთის რკინიგზაზე, რაც ძალიან მცირე მოცულობაა იმისთვის, რომ საქართველოს რკინიგზის ამ მონაკვეთმა იარსებოს: „მინიმუმ 3 მილიონ ტონამდე უნდა აინიოს რკინიგზის გადაზიდვის მოცულობამ, რათა, ძალიან პრიმიტიულად რომ ავხსნათ, მან თავის შენახვა შეძლოს. მაგრამ ამ მოცულობის მოგვროვება, თუ ტრანზიტი არ იქნება, პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ 450 000 ტონას შეიძლება დავამატოთ 1 მილიონი ტონა ქვანახშირი, რომელიც ტყვარჩელიდან დაუშვათ, თურქეთში გადის და იქიდანაც შედის რაღაც, მაგრამ ეს არასაკმარისია“.

სწორედ ეს გარემოებები აღუძრავს ექსპერტს ეჭვებს: **„რკინიგზა ოჩამჩირემდე მივიდა, ოჩამჩირის სიახლოვეს საკონტეინერო ტერმინალს აშენებენ. რკინიგზის აღდგენა უფასო ხომ არ არის? როგორ შეიძლება, ჩაიდოს ამხელა ინვესტიცია და წინასწარ არ იყოს განსაზღვრული დეტალები, თუ რა უნდა გაკეთდეს. ამდენად, რაღაც დინებები მიდის და ეს კითხვებს გადებს, „იატაკქვეშა“ მოლაპარაკებები მიმდინარეობს?“**

რა მოგება რჩება საქართველოს?

ექსპერტის ანალიზის მიხედვით, ხსენებული დერეფანი პირველ რიგში, სჭირდება ოკუპირებულ აფხაზეთს, გაუჩნდეს საკუთარი შემოსავალი და არ იყოს დამოკიდებული რუსულ დოტაციაზე, შემდეგ ეს სჭირდება რუსეთს:

- **„სომხეთის რკინიგზა რუსეთის საკუთრებაა, აფხაზეთზე ზეგავლენა მას აქვს, ამდენად, თუ მან ეს მიმართულება ააწყო, ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის ამოქმედების დიდი პერსპექტივა აქვს, ინდოეთიდან და ირანიდან ტვირთი აქეთკენ მომართოს, სომხეთის და ჩვენი გავლით გადაზიდოს – ეს რუსეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ალტერნატივაა ტვირთნაკადის დივერსიფიკაციის, მით უფრო, ამჟამინდელ მდგომარეობაში, როცა პარალელური ექსპორტი და შავბნელი გადაზიდვები ხორციელდება;**
- **როგორც უკვე ვთქვით, სომხეთს სჭირდება დერეფანი, რათა ალტერნატივა შეიქმნას და არ იყოს გაწამებული ლარსიდან გამომდინარე;**
- **რაც შეეხება საქართველოს, პოლიტიკური თემა სრულად რომ ჩავხსნათ და მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით მივუდგეთ საკითხს, ეს დერეფანი ჩვენთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მომგებიანი, თუ რუსეთიდან ცენტრალურ აზიაში ან პირიქით იმოძრავებს დიდი მოცულობის ტვირთები და გაივლის საქართველოს. მაგრამ ცენტრალური აზიის ქვეყნებს, მათ შორის ყაზახეთს თავიანთი დერეფნები უკვე აწყობილი აქვთ, ბალტიისპირეთში საკუთარი ტერმინალები ააშენეს, გადაზიდვებს რუსეთის გავლით ახორციელებენ.**

ყაზახეთს 10 წელზე მეტია, ნაყიდი აქვთ გათუმის პორტი და მხოლოდ ნავთობის ტერმინალი მოაწყვეს, მეტი არაფერი დაუმატებიათ. ოკუპირებული აფხაზეთის გავლით რომ გადმოისროლონ ტვირთები, ბალტიისპირეთში აშენებულ ტერმინალებს, უზარმაზარი ინვესტიცია რომ ჩადეს, ხომ არ მიატოვებენ?!

ამდენად, თუ აზიიდან დერეფანს 4-5 მილიონი ტონა ტვირთი დაემატება, მის გახსნას მნიშვნელოობა ექნება, მაგრამ მსგავსი პერსპექტივა არ ჩანს, შესაბამისად, ამ ეტაპზე საქართველოსთვის ეკონომიკურად მომგებიანი არაა აფხაზეთის რკინიგზის გახსნა“...

„აქცენტი“

უანგარო, ჭეშმარიტი ლიდერი და პროფესიონალი ინჟინერი

ვეტერანი მეგზევე და ჭარმაგი მეცნიერი რამინ ძნელაძე – 75/50

საქართველოს მეგზეევეთა საზოგადოება ღრმა პატივისცემით და დიდი სიყვარულით ულოცავს შპს „საქგზამეცნიერების“ გენერალური დირექტორის მოადგილეს, ინსტიტუტის მთავარ ინჟინერს, ბატონ რამინ ძნელაძეს დაბადებიდან 75 წლის იუბილეს, 22 აპრილს და ინსტიტუტ „საქგზამეცნიერებაში“ მოღვაწეობის 50-ე წლისთავს.

ბატონო რამინ!

საქართველოს მეგზევეთა საზოგადოება და შპს „საქგზამეცნიერების“ კოლექტივი დიდი პატივისცემით გილოცავთ დაბადებიდან 75-ე წლისთავს და გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას ცხოვრებაში.

თქვენ ბრძანდებით საგზაო დარგის ვეტერანი მუშაკი, ნახევარსაუკუნოვანი შრომითი მოღვაწეობის პერიოდში გამოავლინეთ ჭეშმარიტი ლიდერისა და წარმატებული მეურნის თვისებები. თქვენ, როგორც „საქგზამეცნიერების“ კოლექტივში, ასევე საგზაო დარგში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობთ.

შრომითი მოღვაწეობის ასპარეზზე საქმისადმი თქვენი დამოკიდებულება, მაღალი პასუხისმგებლობა და გამოჩენილი ინიციატივა ყოველთვის მისაბაძი მაგალითი იყო სხვა მეგზევეებისთვის.

შპს „საქგზამეცნიერებაში“ **50**-წლიანი მუშაობის პერიოდში თქვენ გამოირჩეოდით როგორც პრინციპული, კეთილსინდისიერი და შრომისმოყვარე თანამშრომელი. თქვენ ბრძანდებით მაღალკვალიფიციური და ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი, როგორც საავტომობილო გზების, ისე ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების კვლევისა და პროექტირების კუთხით.

თქვენ ბრძანდებით ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ინსტიტუტ „საქგზამეცნიერების“ სწავლული მდივანი, მრავალი დოქტორანტის კონსულტანტი და გვერდში მდგომი, 2019 წლიდან თქვენ არჩეული ხართ საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად, თქვენი ხელმძღვანელობით თითქმის ხუთი ათეული წლის განმავლობაში მრავალი ახალგაზრდა სპეციალისტი იქნა მომზადებული, რომელთაც უანგაროდ გადასცემდით თქვენს ცოდნასა და გამოცდილებას.

თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით მრავალი სპეციალისტი ჩამოყალიბდა როგორც პროფესიონალი ინჟინერი.

კიდევ ერთხელ გილოცავთ **75** წლის იუბილეს, საგზაო დარგის წამყვან სამეცნიერო დაწესებულებაში ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის თარიღს და გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნისა და თქვენი ოჯახის საკეთიდღეოდ.

აკადემიკოსი
თამაზ შილაკაძე,
საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების თავმჯდომარე

ზურაბ აზარაშვილი: თურქეთიდან მედიკამენტების შემოტანაზე შეზღუდვები არსად გვინახავს!

პანდაცვის მინისტრი ზურაბ აზარაშვილი ფარმაცევტული კომპანიების ასოციაციის მიერ თურქეთიდან მედიკამენტების შემოტანის შეზღუდვის თაობაზე გავრცელებულ განცხადებას ეხმიანება და აცხადებს, რომ ინფორმაცია უსაფუძვლოა და რაიმე შეზღუდვა მათ ვერ ნახეს.

მარტში თურქეთიდან უპრეცედენტოდ მაღალი იმპორტი გვქონდა!

მინისტრი ინფორმაციის გაზიარების პროგრამასთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნებსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ გაზები გამართულია.

„გაზებს რაც შეეხება, გაზები ჯერ კიდევ იანვრიდან გამართულია, საქართველოში სულ 4-5 ქსელური აფთიაქი გვაქვს და ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი აფთიაქების ქსელი 98 პროცენტით, სრულად არის ჩართული აღნიშნული გაზებით ინფორმაციის გაცვლაში. შეუძლებელია ერთი ქსელი სრულად იყოს ჩართული და მეორე, მესამე და მეოთხე ქსელი ასე პრინციპულად მხოლოდ სამი აფთიაქით იყოს წარმოდგენილი და ინფორმაციას მხოლოდ რამდენიმე აფთიაქზე აზიარებდეს – თუ ერთმა შეძლო, სხვასაც შეუძლია.

ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ პოლიტიკური შეხედულების მიუხედავად, ნებისმიერს გვერდში დავუდგეთ და ქვეყანაში შევქმნათ სწორი სისტემა, რომელიც ფარმაცევტულ ბიზნესს გახდის გამჭვირვალეს. ეს მიმართულია იქითკენ, რომ მოქალაქეებისთვის იყოს უფრო მეტად ხელმისაწვდომი, ხარისხიანი მედიკამენტი, არ იქმნებოდეს ხელოვნური დეფიციტი, არ იყოს ფასების „გარღვევა“.

ვერც თურქეთში, ვერც კომპანიებთან, რომლებსაც თურქეთიდან შემოაქვთ მედიკამენტები, მსგავსი შეზღუდვები ვერ ვნახეთ. სხვა ქვეყნებშიც, საიდანაც ჩვენთან შემოდის მედიკამენტები, კონკრეტულ დღეს შეიძლება არ იყოს მედიკამენტი, მაგრამ ეს არანაირი აუიოტაჟის საფუძველი არ არის. ჩვენ იმპორტსაც მკაცრად ვაკონ-



ტროლებთ და მარტში არის ყველაზე მაღალი იმპორტი თურქეთიდან ბოლო ორი წლის განმავლობაში. იანვარშიც, თებერვალშიც და მთელი წელი აქტიურად შემოდიოდა მედიკამენტები, ასევე აპრილშიც წარმატებით გრძელდება. არის მხოლოდ განცხადება და არანაირი მასალა არ მოჰყვება.

თუ რამე შეიზღუდა, იქ იქნებოდა რაიმე განსაკუთრებული გადაწყვეტილება. ერთადერთი, დეკემბერში ვნახეთ, რომ მინიმალურად გაიზარდა თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტების ფასი, ეს რამდენიმე მედიკამენტს, ძირითადად ანტიბიოტიკებს ეხებოდა და გაზრდილი იყო ფასი თურქეთში ჭარბი მოხმარების გამო,“ – განაცხადა აზარაშვილმა.

◎ სუსხიანი სტრიქონები

სხარტად თქმული!

დასავლეთ ევროპა და ამერიკა ორ უკიდურესობაში ვარდება, – საქართველოსთვის, ქართველებისთვის ჩაკეტეს საზღვრები, – სხვა ხალხებისთვის, რომლებიც ქაოსურად შეესივნენ ევროპასა და ამერიკას, მათთვის კი გახსნეს, რაც შეცდომა იყო! – საქართველო, ქართველები იძულებულნი გახდნენ, რუსეთისკენ ექნათ პირი, რათა სამუშაო ეშოვათ და ოჯახი ერჩინათ!

ბედის ანაბარად მიტოვებული ქვეყნის ხელისუფლებაში და ოპოზიციურ პარტიებში სრულმა უწესრიგობამ, არეულ-დარეულობამ დაისადგურა, რაც შემდგომ მათი თავსატეხი გახდა! ქართული სიმღერაა: ...ერთად ვიყოთ, ერთმანეთის ჭირი და ლხინი გავიყოთ! სხვაგან „მონობას“, სამშობლოში ერთად ყოფნა უფრო წაადგება საქმეს და ქვეყანაც სწრაფად წაიწევს უკეთესობისკენ!

საქართველოს მეხუთე პრეზიდენტმა, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა, რომელიც მარტის დღესავით იცვლება, 2023 წლის 31 მარტს პარლამენტში ყოველწლიური საქმიანობის ანგარიშით გამოსვლისას, სხარტად და მკაფიოდ განაცხადა, რომ პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი, ბატონი ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქია.

ანუ ის ოლიგარქიის წევრია, ოლიგარქიის მონაწილე, რომ საქართველოში სუფევს ოლიგარქიული მმართველობა! მან თავის მოხსენებაში წლობით ნაგროვები ბოღმა გადმოანთხია – გადმოღვარა, გააკრიტიკა და ამხილა „ქართული ოცნების“ ათწლოვანი ნამოღვაწარი, – რომ ქართველი ხალხი ამ წლების განმავლობაში იმყოფებოდა ოლიგარქიზაციის წნეხის ქვეშ – ოლიგარქია კი ნიშნავს, რომ საქართველოში დღეს არის სახელმწიფო წყობილება, სადაც ხელისუფლება ხორციელდება პოლიტიკოსთა კრებულის მიერ, რომელიც ემსახურება მცირერიცხოვან ჯგუფს პირადი ინტერესებისთვის, პირადი კეთილდღეობისთვის!



ოთარ შონია,
არქიტექტორი,
მობ. 571-39-05-92.

გერმანიაში საქართველოს 1231 მოქალაქე დასაქმდა, ისრაელში კი - 17

ცირკულარული შრომითი მიგრაციის მიმართულებით ხელშეკრულება საქართველოს 4 პარტნიორ ქვეყანასთან აქვს გაფორმებული. ამის შესახებ საუბარია დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს წლიურ ანგარიშში. ეს ქვეყნებია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ისრაელი, საფრანგეთი და ბულგარეთი.

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო ამ ეტაპზე უშუალოდ მონაწილეობს ორ ქვეყანასთან, ისრაელის სახელმწიფოსთან და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან.

ანგარიშის თანახმად, 2022 წელს საქართველოს 1231 მოქალაქეს მიეცა საშუალება, ესარგებლა აღნიშნული სქემით და ჩართულიყო სოფლის მეურნეობის სეტორის სეზონურ სამუშაოებზე გერმანიაში.

რაც შეეხება ისრაელს, იქ პირველი ჯგუფი (17 პირი) გაემგზავრა 2022 წლის 21 დეკემბერს, ანგარიშის თანახმად საქართველოს მოქალაქეებს საშუალება აქვთ დასაქმდნენ ისრაელში, როგორც დამხმარე მუშაკები ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე პაციენტებისთვის განკუთვნილ სამკურნალო დაწესებულებებში.

ანგარიშის თანახმად, „საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კვალიფიციური სპეციალისტების ბინადრობისა და ცირკულარული მიგრაციის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციისათვის“ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2013 წლის 12 ნოემბერს. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორ ქვეყანასთან თანამშრომლობით, უახლოეს მომავალში გეგმავს ზემოხსენებული შეთანხმების პრაქტიკული იმპლემენტაციისათვის უფრო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას, თუმცა შეთანხმების ფარგლებში, დღეის მდგომარეობითაც არის შესაძლებელი, რომ კონკრეტული, ხელშეკრულებით გაწერილი პროფესიის მქონე პირი დასაქმდეს საფრანგეთში გამარტივებული პროცედურებით.

ბულგარეთის რესპუბლიკასთან შეთანხმებას კი ხელი მოეწერა 2019 წლის 30 სექტემბერს, ხოლო მისი საიმპლემენტაციო პროტოკოლი გაფორმდა 2021 წლის 30 ნოემბერს. ამ ეტაპზე მხარეებს შორის მიმდინარეობს მუშაობა ხსენებული შეთანხმების განხორციელებისთვის. მუშავდება შესაბამისი ოქმით გათვალისწინებული ტექნიკური პროცედურები, იქმნება სხვადასხვა დოკუმენტები, მიმდინარეობს კონსულტაციები საკოორდინაციო კომისიის დაკომპლექტების მიზნით და ა.შ.



ემსახურებოდა თუ არა CREDIT SUISSE ნაცისტებს?!

რა წერია აშშ-ის სენატის საბიუჯეტო კომიტეტის ანგარიშში და რას აცხადებს ბანკი

აშშ-ის სენატის საგიუჯეტო კომიტეტმა ანგარიშის მიხედვით შვეიცარიული განკი CREDIT SUISSE ნაცისტებს და მათთან დაკავშირებულ პირებს 2020 წლამდე ემსახურებოდა.

CNN წერს, რომ საკითხის გამოძიების საფუძველი, სიმონ ვიზენტალის ცენტრის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები გახდა, ეს ორგანიზაცია ადამიანის უფლებების დაცვით, ტერორიზმთან და ანტისემიტიზმთან ბრძოლით და ჰოლოკოსტის შესწავლით არის დაკავებული.

სენატის მიუჯეტის კომიტეტის მიერ გავრცელებული პრესრელიზის თანახმად, **Credit Suisse-მა გაათავისუფლა დამოუკიდებელი ომბუდსმენი და შეზღუდა მისი შიდა გამოძიების ფარგლები. სენატის კომიტეტის ინფორმაციით ამან მნიშვნელოვანი ხარვეზები დატოვა ნაცისტებთან დაკავშირებული ჩანაწერების სასამართლო ექსპერტიზაში. 2020 წელს ცენტრმა არგენტინაში გაქცეული 12 000 ნაცისტის მონაცემები მოიპოვა. მკვლევრების თქმით, მევრ მათგანს ანგარიში შვეიცარიულ განკში ჰქონდა გახსნილი, სადაც ებრაელებისთვის წართმეულ ფულს ინახავდნენ.**

სენატის კომიტეტის საიტზე გამოქვეყნებული დოკუმენტის თანახმად, **Credit Suisse გასაიდუმლოებულ ანგარიშებს ემსახურებოდა. მაგალითად, დაჯგუფებაში შედიოდა 99 ადამიანის ანგარიშები, ეს ადამიანები მაღალი რანგის ნაცისტური ჩინოსნები იყვნენ და არგენტინაში მოქმედებდნენ. მათგან 70 ადამიანის ანგარიში 1945 წლის შემდეგ არის გახსნილი. აქედან 14 მათგანს განკი XXI საუკუნეში 2020 წელსაც კი ემსახურებოდა.**

სამშაბათს გავრცელებულ განცხადებაში, **Credit Suisse-მა აღნიშნა, რომ ორწლიანი გამოძიების შედეგად არ დასტურდება ის ფაქტი, რომ მათ ანგარიშებზე ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ფული ინახებოდა. განკში აცხადებენ, რომ დამოუკიდებელი საკონსულტაციო კომპანიის AlixPartners-ის 50-მდე თანამშრომელმა 50 000 საათზე მეტი დახარჯა არქივების და მონაცემთა გაზების კვლევაზე. სენატის ახალი გამოძიება ემყარება 2021 წლის ივნისში დაქირავებული Jenner & Block-ის ადვოკატის ნილ გაროფსკის ბრალდებებს, განკის ნაცისტებთან პოტენციური კავშირის შესახებ.**

ბრალდების მხარე ამტკიცებს, რომ განკმა ნაცისტების მხარდამჭერებთან კავშირები სრულად არ გამოიკვლია. სენატის საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, სენატორმა შელდონ უაითჰაუსმა და სენატორმა ჩაკ გრასლიმ გაროფსკის მოხსენება მარტში გამოაქვეყნეს.

„მიუხედავად იმისა, რომ Credit Suisse თავდაპირველად დათანხმდა გამოიძიოს მტკიცებულებები უცნობი, ნაცისტებთან დაკავშირებული ანგარიშების შესახებ, ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაცია აჩვენებს, რომ განკმა დაადგინა ზედმეტად მკაცრი და ვიწრო ფარგლები და უარი თქვა მის შესრულებაზე. მიმოხილვის მსვლელობისას გამოვლინდა ახალი ფაქტები.“ – თქვა გრასლიმ.

Credit Suisse აქტივების მიხედვით შვეიცარიის სიდიდით მეორე განკია და ბოლო წელს გახმაურებული სკანდალებით და დიდი ზარალით გამოირჩევა.

Credit Suisse შვეიცარიის ერთ-ერთი უძველესი განკია, რომელიც 1856 წელს დაფუძნდა. აქტივების მოცულობით კი ქვეყანაში მეორე ადგილს იკავებდა. განკის ისტორიაში აქციების უდიდესი ვარდნის შემდეგ, რასაც მარტში ჰქონდა ადგილი, საფინანსო ინსტიტუტი მისმა კონკურენტმა UBi-მა შეისყიდა.

თუ უკრაინას არ დავეხმარეთ, რუსეთი გაიმარჯვებს...

უკრაინის მხარდაჭერა ერთადერთი გზაა, სხვა შემთხვევაში რუსეთი გაიმარჯვებს, – აღნიშნული განცხადება ჩეხეთის პრეზიდენტმა, პეტრ პაველმა ნატოს გენერალურ მდივანთან, იენს სტოლტენბერგთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

„მოხარული ვარ, რადგან ყველას გვესმის, რომ არ არსებობს უკრაინის მხარდაჭერის გარდა სხვა გზა. ალტერნატივა არის რუსეთის წარმატება, რაც ჩვენთვის გაცილებით მეტ პრობლემას ნიშნავს და, შესაძლოა, უფრო სერიოზულსაც, ვიდრე დღეს გვაქვს“, – აღნიშნა პეტრ პაველმა.

ვიტალი კლიჩკო: კიევი იყო და რჩება აგრესორის სამიზნედ!

„კიევი არის გული, კიევი არის დედაქალაქი. კიევი იყო და რჩება აგრესორის მთავარ სამიზნედ. ყველაფერს ვაკეთებთ, რათა განვიხილოთ სხვადასხვა სცენარი, თუნდაც ყველაზე უარესი, რომ კიევს თუ ვინმე შეუტევს, მზად დავხვდეთ“, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა, ვიტალი კლიჩკომ.

კიევის მერმა განაცხადა, რომ ახლა ქალაქი მევრად დაცულია, ვიდრე ეს ერთი თვის, ექვსი თვის ან ერთი წლის წინ იყო. მისივე თქმით, კიევის დასაცავად უფრო დეტალური პროგრამაა შემუშავებული.

ტექნოლოგიების იმპორტი სანქციების გვერდის ავლით

რუსეთი ახორციელებს დასავლური იარაღის ტექნოლოგიების იმპორტს სანქციების გვერდის ავლით, მათ შორის სომხეთიდან და ყაზახეთიდან, – ამის შესახებ ინფორმაციას „ნიუ იორკ თაიმსი“ ავრცელებს.

საგადასახადო და სავაჭრო მაღალჩინოსნებმა შენიშნეს ჩიპების და სხვა ელექტრონული კომპონენტების გაყიდვების ზრდა რუსეთში სომხეთის, ყაზახეთისა და ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნების გავლით.

„აშშ და მისი მოკავშირეები იბრძვიან, რათა იარაღის სისტემებისთვის, უპილოტო თვითმფრინავებისა და ტანკებისთვის საჭირო ჩიპები რუსეთის ხელში არ აღმოჩნდეს.

„აშშ-ის მრეწველობისა და უსაფრთხოების მიუროს მეჭდით მონიშნულ ერთ დოკუმენტში ნათქვამია, რომ 2022 წელს სომხეთმა 515 პროცენტით მეტი ჩიპი და პროცესორი შემოიტანა შეერთებული შტატებიდან და 212 პროცენტით მეტი ევროკავშირიდან, ვიდრე 2021 წელს. დოკუმენტში ნათქვამია, რომ შემდეგ სომხეთმა იმავე პროდუქციის 97 პროცენტი რუსეთში გაატარა. სხვა დოკუმენტში მრეწველობისა და უსაფრთხოების მიურომ გამოავლინა ჩიპებისა და კომპონენტების რვა კატეგორია, რომლებიც მიჩნეულია კრიტიკულად რუსული იარაღის განვითარებისთვის, რომელიც აღმოაჩინეს რუსული საკრუიზო რაკეტის ერთ-ერთ მოდელში, X-101-ში“, – წერს „ნიუ იორკ თაიმსი“.

შვიდი ათასამდე სამხედრო დაკარგულად ითვლება

უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საკითხებში უფლებამოსილ ოლეგ კოტენკოს თქმით, ამჟამად დაკარგულად 7 ათასამდე უკრაინელი სამხედრო მიიჩნევა.

კოტენკოს თქმით, როგორც წესი, უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა 60-65% ტყვეობაში იმყოფება ხოლმე, დანარჩენები კი გარდაცვლილები არიან.

* * *

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (UN OHCHR) ინფორმაციით, უკრაინაში ომის დაწყებიდან დღემდე 8500-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრებია დაღუპული, დაჭრილია 14 ათასზე მეტი ადამიანი.

დიდი ალბათობით რეალური სტატისტიკა კიდევ უფრო მაღალია, ვინაიდან ზოგიერთი რაიონიდან, სადაც ინტენსიური ბრძოლები მიმდინარეობს, ინფორმაციის მოპოვება ამ ეტაპზე შეუძლებელია. ასეთ რაიონებად გაეროში მარიუპოლს, ლისიჩანსკს, პოპასნასა და სევეროდვინსკს ასახელებენ.

სათევზაო ხომალდებად შენიღბული ჯაშუში გემები

დანიის, ნორვეგიის, შვედეთისა და ფინეთის საზოგადოებრივი მაუწყებლების ერთობლივი გამოძიების მიხედვით, რუსეთს ქარის ელექტროსადგურებისა და ჩრდილოეთის ზღვაში გამავალი საკომუნიკაციო სადენების დაზიანების გეგმა აქვს.

როგორც ჟურნალისტური გამოძიების ავტორები აცხადებენ, რუსეთს ჩრდილოეთის ზღვაში დისლოცირებული ჰყავს სათევზაო გემებად შენიღბული ჯაშუში ხომალდები, რომლებიც კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტებს სწავლობენ და საბოტაჟის გეგმას ადგენენ.

როგორც ჟურნალისტებს დანიის კონტრდაზვერვის ოფიცერმა განუცხადა, რუსეთი ამ გეგმას დასავლეთთან სრულმასშტაბიანი კონფლიქტის შემთხვევაში აამოქმედებს. გამოძიების თანახმად, აღნიშნული გემები აღჭურვილია წყალქვეშა სათვალთვალო მოწყობილობებით. „ბიბისის“ ცნობით, რუსეთის გემების ფარული საქმიანობის შესახებ ლონდონიც ინფორმირებულია და რუსული გემები დიდი ბრიტანეთის ტერიტორიული წყლების სიახლოვესაც გადაადგილდებიან.

ბრაზილიის პრეზიდენტი შუამავლობას კისრულობს

ჩვენ სასწრაფოდ უნდა შევქმნათ ქვეყნების ჯგუფი, რომლებიც დასხდებიან უკრაინასა და რუსეთთან ერთად მშვიდობის მისაღწევად, – ამის შესახებ ბრაზილიის პრეზიდენტმა ლულა და სილვამ განაცხადა.

ბრაზილიის პრეზიდენტის თქმით, ქვეყნის მთავრობა გმობს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას და მხარს უჭერს კონფლიქტის პოლიტიკური მოლაპარაკებებით გადაწყვეტას.

მანამდე, ლულა და სილვამ თქვა, რომ დასავლეთის ქვეყნები ახანგრძლივებდნენ ბრძოლას უკრაინისთვის იარაღის მიწოდებით. აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ბრაზილიის პრეზიდენტი რუსული და ჩინური პროპაგანდის განმეორებაში დაადანაშაულა.

პუტინს ომის გაგრძელება კვლავ შეუძლია...

ბრძოლის ველზე დანაკარგებმა და სანქციებმა მოსკოვის არმია სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო, თუმცა, ახალი ანალიზის მიხედვით, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ძალებს კონფლიქტის გასაგრძელებლად საკმარისი რესურსი ჯერ კიდევ აქვთ.

სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის (CSIS) მოხსენებაში ნათქვამია, რომ რუსეთმა დაკარგა 10 000 ერთეული ტექნიკა, როგორიცაა ტანკები, სატვირთო მანქანები, საარტილერიო ნაწილები და თვითმფრინავები.

მიუხედავად ამისა, რუსეთს შეუძლია, რომ ახალი ტექნიკის დანაკარგი ცივი ომის დროინდელი მარაგებით შეავსოს. CSIS-ის მოხსენების მიხედვით, მოსკოვმა ომის დაწყების შემდეგ 1 845-იდან 3 511 ტანკამდე დაკარგა. მოსკოვისთვის განსაკუთრებით საზიანო იყო მისი უახლესი, განახლებული T-7203-ის ტიპის საბრძოლო ტანკის დანაკარგები. ეს ყველაფერი გამოიხატა იმაში, რომ ბრძოლის ველზე 1948 წელს გამოშვებული T-55-ის ტიპის ტანკები გამოჩნდა.

თუმცა მოხსენებაში აღნიშნულია, რომ რუსეთს ჯერ კიდევ აქვს რიცხობრივი უპირატესობა უკრაინასთან შედარებით თითქმის ყველა ასპექტში. ასე რომ, უზარმაზარი დანაკარგებისა და ზარალის მიუხედავად, პუტინს ომის გაგრძელება კვლავ შეუძლია.

აშშ კარგავს ნდობას და მთელ მსოფლიოს სძულს ამერიკა!..

აშშ კარგავს ნდობას და მთელ მსოფლიოს სძულს ამერიკა, ევროპა კი აშშ-ის პაიკია, – ამის შესახებ თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, სულეიმან სოილუმ თოფქაფის სოციალურ საწარმოში ახალგაზრდებთან შეხვედრისას განაცხადა. თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფრთხე არის კულტურული ტერორიზმი, რომელიც მიზნად ისახავს რწმენის, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების განადგურებას.

„არ არსებობს ისეთი რამ, როგორც ევროპა. არ ინერვიულოთ ამაზე. ევროპა არის მატარებელი ამერიკის კოლონაში. ევროპელი ლიდერების მუდმივი დისკრედიტაცია ხდება, მოსახლეობა ბერდება, მათ ჰქონდათ სირთულეები ეკონომიკურ წარმოებაში და სირთულეები ისევ ექნებათ“, – განაცხადა სულეიმან სოილუმ.

მექსიკა აშშ-ს ჯაშუშობაში დებს ბრალს

მექსიკის პრეზიდენტმა აშშ-ს ჯაშუშობაში დასდო ბრალი და შეიარაღებული ძალების შესახებ ინფორმაციის შეზღუდვის განკარგულება გასცა.

როგორც ანდრეს მანუელ ლოპეს ობრადორი აცხადებს, აღნიშნული გადაწყვეტილება მექსიკის ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით მიიღო. მექსიკის პრეზიდენტის განცხადება უკავშირდება სოციალურ ქსელებში გავრცელებულ პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტებს, რომელშიც საუბარია მექსიკის ფლოტსა და ქვეყნის არმიას შორის არსებულ დაძაბულობაზე.

„ჩვენ დავიცავთ ფლოტისა და თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციას, რადგანაც ჩვენ პენტაგონის ჯაშუშობის სამიზნე ვართ“, – განაცხადა მექსიკის პრეზიდენტმა. პენტაგონში განაცხადეს, რომ მექსიკის არმიასთან და ფლოტთან მტკიცე პარტნიორობა აკავშირებთ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ აშშ და მექსიკა საერთო გამოწვევებს ერთად უმკლავდებიან და პატივისცემით ეკიდებიან ერთმანეთის სუვერენიტეტსა და საგარეო-პოლიტიკურ დღის წესრიგს.

ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა ჩინეთში

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ჩენგდუში ღვინისა და საკვების საერთაშორისო გამოფენა „The 108th China Food & Drinks Fair“ გაიმართა. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, გამოფენაში ქართული ღვინის მწარმოებელი 34 კომპანია მონაწილეობდა. პანდემიის შემდეგ, ეს იყო ქართული ღვინის პირველი მასშტაბური წარდგენა ქვეყანაში, რომელიც საქართველოსთვის ერთ-ერთი სტრატეგიული ბაზარია; ჩინეთი ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში შედის.

გამოფენის გახსნას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში არჩილ კალანდია ესწრებოდნენ.

„პანდემიის შემდეგ, საქართველო დაბრუნდა ჩინეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოფენაზე. საქართველოს დელეგაცია იყო ერთადერთი სტუმარი ქვეყანა, რომელიც მონაწილეობდა გამოფენის ოფიციალური გახსნის ცერემონიაში. ქართულ სტენდზე წელს წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 34 კომპანია. ძალიან იაქტიურა კერძო სექტორმა, მათი დიდი სურვილი იყო გამოფენაში მონაწილეობა. ისევე როგორც ყველა სხვა მარკეტინგული ღონისძიება, გამოფენაში „The 108th China Food & Drinks Fair“ მონაწილეობა ქართული ღვინის ცნობადობას და გაყიდვებს ჩინეთის სტრატეგიულ ბაზარზე კიდევ უფრო გაზრდის“, – აღნიშნა ლევან მეხუზლამ.

ჩინეთში ვიზიტის ფარგლებში, ლევან მეხუზლა ადგილობრივი ხელისუფლების, კომერციული კომპანიებისა და „ქართული ღვინის სახლების“ წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრებზე მხარეებმა ქართული ღვინის ექსპორტის გაზრდის პოტენციალი და მარკეტინგული აქტივობების საკითხები განიხილეს.

გამოფენა „The 108th China Food & Drinks Fair“ ჩინეთში 1955 წლიდან ტარდება და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოფენად ითვლება ჩინეთში, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ყოველწლიურად ათასობით ღვინის მწარმოებელი და მილიონამდე ვიზიტორი ესწრება. ეს არის საუკეთესო შესაძლებლობა, რომ ქართული ღვინო უფრო ცნობადი და პოპულარული გახდეს სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ბაზარზე. გამოფენის ფარგლებში, ქართული ღვინის კომპანიების წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს პარტნიორებთან და პოტენციურ იმპორტიორებთან.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ნუშრევან კოჯაევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნუშრევან კოჯაევი (პ/ნ 36001048300), საგარეჯო, ს. ქვემო ლამბალო, მე-3 ქუჩა №6

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
საგარეჯო, ს. ქვემო ლამბალო, მე-15 ქუჩის 1 შესახვევი №5 (საკადასტრო კოდი: 55.21.51.000.182 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 29652.44 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 21 აპრილი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 5 მაისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP88505723; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 885057

6. **მოვალე:** ნუშრევან კოჯაევი (პ/ნ 36001048300), საგარეჯო, ს. ქვემო ლამბალო, მე-3 ქუჩა №6.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP88505723; ლოტის ნომერი: 885057).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 5 მაისის 10:00 საათამდე.

სუპერ-სკვერი მე-9 კლასელების პროექტით მოეწყობა!

სამგორის რაიონის გამგეობამ თბილისის 108-ე საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეების მიერ შემუშავებული მაკეტის საფუძველზე სკვერის მოწყობის პროექტირება დაასრულა.

სკოლის მოსწავლეებისა და პროექტანტების ერთობლივად შემუშავებული გეგმის კურთხევა აღნიშნულ სკოლაში გაიმართა.

ღონისძიებას სამგორის რაიონის გამგებელი კახა სამხარაძე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი ლალი კალანდაძე, სკოლის ადმინისტრაცია და მოსწავლეები დაესწრნენ.

პროექტის მიხედვით, სკვერი მესამე მასივში, X კვარტალის კორპუსი 23-ის მიმდებარედ, 3 200 კვ.მეტრის ფართობზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა.

დამონტაჟდება სამავშვო ატრაქციონები, მოსასვენებელი სკამები, მოეწყობა ბილიკები, განათების სისტემა და ტერიტორია სრულად გამწვანდება.

აღსანიშნავია, რომ სკვერის მაკეტი მოზარდებმა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში, მათემატიკის საგანში კომპლექსური დავალების შედეგად გეომეტრიული ფიგურებისა და მათემატიკური გამოთვლების გამოყენებით შექმნეს. მოსწავლეები სკვერის განაშენიანების პროცესის ყველა ეტაპზე აქტიურად იქნებიან ჩართულნი.

„გონიერი შერეკილები“

გურულმა – გურიაში!..

ადამიანი-რეკორდი – ასეთად იცნობს სპორტის ქომაგი გოდერძი მახარაძეს, რომელიც უკვე რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ახალ-ახალი მიღწევებით გვახარებს.

ამჯერად ამ კარგი გაგებით შერეკილმა თანამემამულემ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე შუხუთში გამართული ლელობურთის ტრადიციული შეხვედრის დროს დაძლეული მორიგი ორი სიმაღლით გვასახელა – ჯერ იყო და 16 კილოგრამიან და 400 გრამიანი სიმძიმის ბურთით 32 30 წამში 50 მეტრი ირბინა, რაც ისტორიაში უნიკალური ფაქტია, ხოლო შემდეგ 17 წუთსა და 35 წამში დაფარა ერთმანეთზე გადაბმული 3 სახანძრო კიბის 358 საფეხური.

აღსანიშნავია, რომ შთამბეჭდავ კარიერაში შესრულებული სარეკორდო – მე-60 ცდა ცაცხვის ხეზე განხორციელდა, წინა მიღწევის ავტორმა – შვეიცარიელმა სალმა კი სამჯერ ნაკლები – მხოლოდ 111 საფეხური გაიარა.

დავძენთ, რომ ეს რეკორდები ბატონი ბადრი პატარკაციშვილის ხსოვნას მიეძღვნა, ხოლო სპონსორობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა და ბათუმის სასტუმრო „არსპალასმა“ იტვირთეს.

26 მაისს გოდერძი მახარაძე თავით კალათბურთის ბურთის 1000-ჯერ აკენწვლას აპირებს!

ცნობისთვის: მამის კვალს შვილებიც მიჰყვებიან, ძმა – ზვიად მახარაძე ცერა თითებით 101-ჯერ აზიდვით მსოფლიოს რეკორდსმენია, მაჯებზე ამოტრიალებული ხელით კი წუთში 86-ჯერ აიზიდა!

ხალიჩაზე

6 მედალი და გუნდური მეორე

თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატის ბოლო საშეჯიბრო დღეს ზაგრებში საქართველოს ნაკრებმა 4 მედალი მოიპოვა: 1 ვერცხლი და 3 ბრინჯაო.

გენო პეტრიაშვილი ვერცხლს დაეუფლა (125 კგ), რომელმაც ფინალამდე ბერძენი აზამატ ხოსონოვი (12:2) და უნგრელი დანიელ ლიგეტი დაამარცხა (7:4). ოქროს მედლისთვის იგი თურქ ტაჰა აკგულს გაეჯიბრა, მაგრამ 4:9 დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

61 კგ წონით კატეგორიაში შოთა ფარტენაძემ უნგრეთის სახელით მოასპარეზე გამჯატგაჯი ხალიდოვი 5:1 დაამარცხა, მაგრამ ნახევარფინალში ბოლო ქულებით ალბანელ ზელიმხან აბაკაროვთან მარცხი განიცადა (4:4), შესაბამისად, ბრინჯაოს მედლისთვის მან უკრაინელ ტარას მარკოვიჩს დაძაბულ ბრძოლაში 6:5 აჯობა.

74 კგ წონით კატეგორიაში ავთანდილ კენჭაძემ უკრაინელი სემენ რადულოვი (8:0) და შვეიცარიელი ტობიას პორტმანი (11:0) დაამარცხა, ნახევარფინალში კი სლოვაკეთის სახელით მოასპარეზე ტაიმურაზ სალკაზანოვთან 1:5 წააგო, ხოლო ბრინჯაოსთვის ბრძოლაში სომეხ ჰრაირ ალიხანიანს იოლად, 8:0 მოუგო.

ასევე ბრინჯაოსთვის იბრძოლა მირიან მაისურაძემ (92 კგ), რომელმაც საფრანგეთის სახელით მოასპარეზე ფილიპ ფინესილვერთან 7:0 მოიგო, მაგრამ ნახევარფინალში თურქ ფეიზულაჰ აკტურკთან მარცხი განიცადა და ბრინჯაოსთვის უკრაინის სახელით მოასპარეზე ილია არჩაია 7:2 დაამარცხა.

ამრიგად, თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრებმა 1 ოქროს, 1 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, რითაც ასპარეზობა გუნდურ მეორე ადგილზე დაასრულა. შეგახსენებთ, რომ პირველ დღეს ოქრო გივი მაჭარაშვილმა მოიხვეჭა, ხოლო ბრინჯაო – ედემი ბოლქვაძემ.

ჩემპიონთა ლიგა

დამარცხებულს არ ასამართლებენ

ნათქვამია, იმედი გოლოს კვდებაო. ვითომ?

ხომ იცით, გამონაკლისი შემთხვევებიც არსებობს და სწორედ იმ ფაქტზე უნდა ვისაუბროთ, როცა უარყოფითი შედეგის მიუხედავად, ოპტიმიზმის საფუძველი ისევ გვაქვს, იქნებ – მოჭარბებითაც.

ვგულისხმობთ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მეოთხედფინალური მატჩის პერიპეტიებს. დიახ, ნაპოლიმ მილანთან ორრაუნდიანი ბრძოლა კი წააგო, მაგრამ ხვიჩა კვარაცხელიამ ორივე გუნდის მოთამაშეთაგან საუკეთესო შეფასება დაიმსახურა და პარტნიორთა შორის, ორი-სამი მეტოქის სისტემატური მეურვეობის ფონზე, ყველაზე აქტიური გახლდათ. და ეს მაშინ, როცა მეკარეებმა მეტრეტმა და მენიანმა პენალტები მოიგერიეს, მათ შორის სტუმართა კიპერმა – ჩვენი თანამემამულის დარტყმა.

ნაპოლი – მილანი 1:1
(პირველი მატჩი – 0:1)
გოლები: ჟირუ; ოსიმენი.

უნდა ვაღიაროთ, რომ როსონერი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დამსახურებულად გავიდა ნახევარფინალში, ფეერიული სეზონის შედეგად ლუჩანო სპალეტის გამოფიტულ კრებულს კი საკადრო პრობლემებმაც გამოუსვა ცელი.

მართლაც, როგორი საქმეა ძირითადი შემადგენლობიდან დისკვალიფიკაციის გამო კიმისა და ანგისას ამოვარდნა, რასაც საპასუხო შეხვედრის პირველივე ნახევარში ტრავმირებული პოლიტანოსა და მარიო რუის, მეორე ტაიმში კი ამავე მიზეზით რაჰმანის იძულებითი შეცვლებიც დაემატა.

მოკლედ, იტალიის თითქმის უკვე ჩემპიონმა პიკი ნაადრევად გადაიარა და ძნელია მასზე აუგი თქვა – სხვა თუ არაფერი, არც ევროპულმა წარმატებამ დაახანა – პარტენო პეის ჩემპიონთა საბრძანებელში ასეთი მიჯნისთვის თვით გენიალური მარადონას ეპოქაშიც კი არ მიუღწევია.

და ბოლოს – განსაკუთრებული მადლობა ხვიჩასაც, რომელმაც ელიტაში საბრძოლო ნათლობა ღირსეულად დაასრულა და ტიტულის სუნი იგრძნო.

ფიცარნაგზე

აკვრამ დაალალატა

ერევანში მიმდინარე ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე 73 კგ. წონით კატეგორიაში კახი ასანიძემ იასპარეზა.

ქართველმა შტანგისტმა ატაცში 145/151 კგ. დაძლია და მე-4 საფეხური ერგო. აღსანიშნავია, რომ ასანიძემ და საპრიზო ადგილზე გასულმა ძალოსანმა ერთნაირი წონა დაიმორჩილეს. აკვრაში ასანიძემ თავი 175 კილოგრამს გაართვა, ბოლო ორი ცდა კი გააცუდა და კონკრეტულ დისციპლინაში მე-9 ადგილზე გავიდა. საბოლოოდ ქართველმა ძალოსანმა ორჭიდში მოგროვებული 326 კილოგრამით მერვე ადგილი დაიკავა.

ლეგიონერი

ანდრონიკაშვილმა ესპანეთში საუკეთესო მატჩი ჩაატარა

ესპანეთის საკალათბურთო ლიგის 28-ე ტურის შეხვედრაში რატი ანდრონიკაშვილის „მურსიამ“ საკუთარ მოედანზე „ვალენსიას“ უმასპინძლა და 90:82 გაიმარჯვა.

„ვალენსიას“ წინააღმდეგ საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა შედეგიანობის კუთხით საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. რატიმ მოედანზე ჯამში 13:46 წუთი გაატარა, რა დროშიც 11 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა დააგროვა. ანდრონიკაშვილმა 5 დან 3 ორქულიანი, 2 დან 1 სამქულიანი და 2 დან 2 საჯარიმო გამოიყენა.

„მურსიას“ რიგებში გამორჩეული შეხვედრა ჰქონდა საქართველოს ნაკრების კიდევ ერთ წევრს, თად მაქფადენს. მან 21 ქულა მოაგროვა და „ვალენსიას“ კალათბურთელ ჰარპერთან ერთად შეხვედრის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. ამ მომენტისთვის ესპანეთის უმაღლეს ლიგაში „მურსიას“ 12 გამარჯვება და 16 მარცხი აქვს. გუნდი პლეი ოფის ზონის მიღმა, მე-11 ადგილზე იმყოფება.

64

95 წლის ოთარ შონიას ნააზრევი



თეთრები იწყებენ და იგებენ

თრ. 1.მფ e3; 2.ე h7; 3.ხხ c1, g6; 4.მ h5; 5.ჭჭ c3, c4, e4, g4.

შვ. 1.მფ e6; 2.ეე d8, e8; 3.ხხ d2, f8; 4.მ g8; 5.ჭჭ d7, b7, d6.

ამოხსნა

1.მფ e3-d4! /მუქარა 2.ხ g6-f5×/
1. ...ჭ d6-d5 2.ხ g6-f5+ მფ e6-d6
3.ხ c1-f4+ მფ d6-c6 4.ჭ e4:d5+
მფ c6-b6 5.ხ f4-c7+ მფ b6-a6
6.ხ f5-d7 ხ f8-c5+ 7.მფ d4:c5
ჭ b7-b6+ 8.მფ c5-b4 ე e8-f8
9.ხ d7-b5+ მფ a6-b7 10.ხ c7-f4+
მფ b7-c8 11.ხ b5-a6+ მფ c8-d8
12.ხ f4-c7+ მფ d8-e8 13.ხ a6-b5×

ჭადრაკი აღიარებულია სპორტის ერთ-ერთ სახეობად!

სპორტი არის ვარჯიში, – ორგანიზმის გაკაჟების მიზნით, – სხვადასხვაგვარი ფიზიკური ჟესტების გამოყენებით!

მართალია, ტვინის ვარჯიში ჟესტიკულაციით არ ხდება, მაგრამ სხვადასხვა ვითარებაში ტვინი აქტიურდება, – ყურადღების ძაფებს დაძრავს, აამოქმედებს გონებას, ჭკუას ძალას დაატანს და იაზროვნებს! ეს ტვინის ვარჯიშია!

ყინულზე

მძაფრ ბრძოლაში

მადრიდში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის მეორე დივიზიონის A ჯგუფში საქართველოს ყინულის ჰოკეისტთა ეროვნულმა ნაკრებმა მესამე შეხვედრა ჩაატარა და ძლიერ ესპანეთის გუნდთან დაძაბულ ბრძოლაში 0:2 დამარცხდა.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა პირველ ტურში ისლანდიის ეროვნულ გუნდს 4:1 სძლია, მეორე ტურში კი ისრაელს 7:3 მოუგო. სამი ტურის შემდეგ ჩვენი ნაკრები ჯგუფში ხორვატებისა და მასპინძელთა შემდეგ მესამე პოზიციას იკავებს.

დღესასწაულთა დღესასწაული
აღდგომის განახლება

კვირაცხოვლობა (თომას კვირიაკე)

23 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს კვირაცხოვლობას, რომელსაც ეწოდება ახალი კვირა, აღდგომიდან მეორე, თომას კვირა.

...ცნობილია, რომ აღდგომის ღამეს თომას გარდა ყველა მოციქულს გამოეცხადა და ნახა იესო ქრისტე. მოციქული თომა გვიან მოვიდა, მოწაფეებმა ასე უთხრეს მას: „ჩვენ უკვე ვნახეთ უფალი“. მაგრამ ურწმუნო თომამ არ დაიჯერა. ერთი კვირის შემდეგ მოწაფეები ისევ შეიკრიბნენ. თომაც მათთან იყო.

იესო ქრისტე კვლავ გამოეცხადა მათ და უთხრა: „მშვიდობა თქვენ“. მერე კი თომას მიმართა: „მომეცი აქ შენი თითი და გასინჯე ხელები ჩემი. მომეცი ხელი და შეახე ჭრილობას ჩემი გვერდისას და ნუ იქნები ურწმუნო, არამედ იყავი მორწმუნე“.

თომამ შეჰღაღადა: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“. იესომ უთხრა: „შენ ირწმუნე რადგან მნახე, მაგრამ ნეტარ არიან ისინი, რომლებმაც არ მიხილეს და მირწმუნეს“.

ნიშანდობლივია, რომ მრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში პატარა მაგიდაზე დადებული საგანგებოდ გამომცხვარი პური – „არტოსი“ განსაკუთრებულ მადლს იძენს ტაძარში, რომელსაც მორწმუნეებს კვირაცხოვლობას ურიგებენ... პატარა ნაწილებად დაჭრილი „არტოსი“ – მადლიანი პური სულს და ხორცს კურნავს.

ბილოცავთ დღესასწაულთა დღესასწაულს!

გიული ლიპარტია

დასავლეთ საქართველოში კვალიფიციური სანერგე მეურნეობების შემოწმება მიმდინარეობს

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი სურსათის ეროვნული სააგენტოს და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენლებთან ერთად, დასავლეთ საქართველოში სანერგეების ინსპექტირებას ახორციელებს. ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ავრცელებს.

მათი ცნობით, ინსპექტირება სარგავი მასალის მწარმოებელი კვალიფიციური სანერგე მეურნეობების ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შესწავლის მიზნით ტარდება.

„საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, კვალიფიციური სანერგე მეურნეობა ვალდებულია უზრუნველყოს ჰიგიენური და სატრანსპორტო მოთხოვნების დაცვა, გასამრავლებელი მასალის მიკვლევადობა, როგორც სანერგე მეურნეობაში, ასევე სანერგე მეურნეობის გარეთ.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, მინიმუმ წელიწადში ერთხელ, კვალიფიციური სანერგე მეურნეობის ინსპექტირებას ახორციელებს. დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, თუ სანერგე არ ახდენს ხარვეზის გამოსწორებას შეტყობინებით განსაზღვრულ ვადაში, ცენტრი მეურნეობას რეესტრიდან იღებს.

სანერგე მეურნეობის კვალიფიციურობის დადგენა, რომელიც სარგავი მასალის სერტიფიცირების წინაპირობაა, 2017 წლიდან მიმდინარეობს. სერტიფიცირების სისტემა გაზარს ხარისხიანი თესლითა და სარგავი მასალით უზრუნველყოფს, რაც იმპორტირებული მასალის ჩანაცვლებას და ადგილობრივი ჯიშების პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს, მომხმარებელს კი, არაკეთილსინდისიერი მწარმოებლისგან დაიცავს“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება სამძიმარს უცხადებს აკადემიკოს ივანე კილურაძეს მეუღლის

მზია გრიგოლიას

გარდაცვალების გამო.

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი ვანო კილურაძის მეუღლის, ქალბატონი

მზია გრიგოლიას

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

სიყრმის მეგობრები თამაზ აბაშიძე, გიზო ბაქანიძე, გივი გელაძე, სანდრო დიდებულიძე, რეზო მირიანაშვილი, სერგო სულაკაური, ლევან ტყაბლაძე, გივი წერეთელი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამორჩეული მოქალაქე, შესანიშნავი მასწავლებელი და აღმზრდელი, საუკეთესო მეგობარი

თამაზ (თაზო) ავალიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

თემურ მაჩაიძე



მართალი უთქვამთ — თუ გინდა ადამიანი გამოსცადო, თანამდებობა და ფული უნდა უბოძოო.

თემურ მაჩაიძე სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა დედაქალაქის ერთ-ერთი მსხვილი სავაჭრო ობიექტის თავკაცობა ანდეს, მაგრამ, ზოგ-ზოგიერთთაგან განსხვავებით, კაცობისა და ოჯახიშვილობისთვის არასდროს ულალატია.

ალბათ, ამიტომაც გვეძვირფასებოდა თაობაში წიგნიერებითა და და განსწავლულობით გამორჩეულ თანამეინახესთან მეგობრობა — თითოეული შეკრების სული და გული დაუვიწყარი ტკბილი მოსაგონრებით გვანებივრებდა.

უამრავი ამქვეყნიური უკეთურობით გაწბილებული და ჯანმრთელობაშერყეული განსაკუთრებით უმადურობით გახლდათ გულგატეხილი. რას ვიზამთ — ყველას თურმე ვერ მოვთხოვთ მადლიერების გრძნობის გამოხატვას.

სამაგიეროდ, თვითონ დაგვიტოვა პირადი ცხოვრება ღირსეულ მაგალითად, თუ როგორ უნდა გალიო ეს ცოდვა-მადლიანი წუთისოფელი. დიახ, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ბატონობს ცისქვეშეთში სიკეთე.

სიმბოლურია, რომ კვირაცხოვლობაზე საწუთროსგან განრიდების მე-40 დღის აღსანიშნავად შევიკრიბებით ჩვენი ძვირფასი ძმობილის საფლავზე.

ნათელი და სანთელი, ჯიგარო!

მეგობართა სახელით

ილია ბერიკაშვილი, ლევან ძებულაძე, გია მურღულია, გოჩა დარსაველიძე, გია პლატონიშვილი.

ცისანა ჯოლოგუა

მწარე 40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც დიდი გულისტკივილით გავისტუმრეთ ზეციურ საქართველოში სანათესაოს თვალისჩინი ცისანა ჯოლოგუა.

უკურნებელ სენთან ღირსეულ ბრძოლაში დამარცხდა სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული ჩვენი ძვირფასი ქალბატონი, რითაც შეუხორცებელი იარა დაგვიტოვა მეუღლეს — ვლადიმერ ქარჩავას, შვილებს — ფიქრია და რომან ქარჩავებს, რძლებს — ლამზირას და ნატოს, შვილიშვილებს, მაზლიშვილებს, დას — თინათინ ჯოლოგუას ოჯახით, აღმზრდელ ბიცოლას — ქეთო ჭანტურიას, ბიძაშვილებს — ბაჩუკი ჭანტურიას, ჯემალ, ტუტუ და იზო ჯიმშეიშვილებს, მეზობლებს, მეგობრებს, თანამშრომლებს.

დღეს კიდევ ერთხელ წავუქცევთ ჭიქას მარადისობის ბინადარს და დარწმუნებულნი ვართ, იმქვეყნიდანაც მივიღებთ მისეულ ლოცვას, სადაც ჩვეულ თანადგომას გაუწევს საფიცარ ძმას — ჯონის.

უფალს ებარებოდე, ცისანა!

შეუშრობელი ცრემლით, ბიძაშენი —

სოსო ნაყოფია.

საქართველოს რკინიგზა ავტომობილების გადაზიდვებს იწყებს

საქართველოს რკინიგზისა და ავტომწარმოებლების ერთობლივი მუშაობის შედეგად, ავტომობილების რკინიგზით გადაზიდვები იწყება. როგორც საქართველოს რკინიგზაში აცხადებენ, Toyota, BMW და AUDI ცენტრალურ აზიაში მანქანებს რკინიგზის მეშვეობით ჩაიყვანენ. მარშრუტი შემდეგია: საქართველო, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი და ცენტრალური აზია.

„აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე ავტომობილების მწარმოებლები ცენტრალური აზიის მიმართულებით, მანქანების გადასაზიდად სახმელეთო ტრანსპორტს იყენებდნენ. მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგად, შესაძლოა, ავტომობილების სარკინიგზო გადაზიდვები რეგულარული გახდეს“, – აცხადებენ საქართველოს რკინიგზაში.

ირაკლი ფარჯიანის „სახარებები“ „ათინათში“



„ათინათის“ კულტურის ცენტრი ირაკლი ფარჯიანის (1950-1991) შემოქმედებაზე შექმნილ პირველ ვიდეოინსტალაციას – „სახარებები“ – უმასპინძლებს, რომელიც მხატვრის მიერ გადაწერილი და დასურათებული სახარებების ფაქსიმილე გამოცემაა, – ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, დამთვალიერებელს შეეძლება ფარჯიანის სახარებათა ზუსტი ასლი თანამედროვე ტექნოლოგიით გაცოცხლებული ვიდეოინსტალაციის მეშვეობით ნახოს.

„18 აპრილს, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა, მხატვრის შვილთან, სოფო ფარჯიანთან ერთად გამოფენის მოსამზადებელი სამუშაოები მოინახულა.

ირაკლი ფარჯიანის „სახარებები“ რთული ტექნიკური მახასიათებლების გამო თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ვერ გამოიცა. იგი შეიცავს ოქროსა და ვერცხლის პიგმენტებს. ნამუშევრები უნიკალურია ფერებითაც, რადგან შესრულებულია ირაკლი ფარჯიანის მიერ მიგნებული სპეციალური ტექნიკით, რაც საღებავების თავისებური დამუშავებით ფერების მიღებას გულისხმობს.

ირაკლი ფარჯიანი მე-20 საუკუნის ქართული ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა. 1980-იანი წლებიდან მოყოლებული ქართული მხატვრობის წინამძღოლია, რომელმაც თაობის პოზიცია, სტილი და მიმართულება განსაზღვრა. ქართულ ხელოვნებაში ქრისტიანული ფერწერის გაწყვეტილი ტრადიციის აღდგენა სწორედ მის სახელს უკავშირდება.

ფარჯიანის „სახარებები“ შუა საუკუნეების გავლენებსა და იმავდროულად, თანამედროვე კულტურის ნიშნებს ატარებს. აქ თანაარსებობს ხელნაწერი რელიგიური წიგნის კანონიკური იკონოგრაფია და მხატვრის საავტორო ინტერპრეტაცია. საბჭოთა საქართველოში შეიქმნა ირაკლი ფარჯიანის მიერ სახარების უნიკალური ვერსია, რომლის ანალოგიც დღემდე არ არსებობს.

ირაკლი ფარჯიანის „სახარებების“ ფაქსიმილე გამოცემა საქართველოში ექსკლუზიურად ჩამოაქვს კომპანია „Smart Innovations“-ს.

გამოფენა „ათინათის“ კულტურის ცენტრში 19 აპრილიდან 23 აპრილამდე გაგრძელდება“.

იმპერატორის ზარდახშა... სხვენში

ამერიკელმა ოჯახმა საკუთარი სახლის სხვენში ჩინეთის იმპერატორ სიუანდეს ზარდახშა იპოვა. ზარდახშა ახლა აუქციონზე გაიყიდება, მისი სავარაუდო ღირებულება 10 000 დოლარია. ზარდახშა მეორე მსოფლიო ომის მონაწილის, მაიორ ედვარდ რედკლიფის ნათესავებმა იპოვეს. რედკლიფს არტეფაქტი ლონდონში 1946 წელს შეუძენია. 1967 წელს რედკლიფი გარდაიცვალა, ზარდახშა კი არავის გახსენებია. ზარდახშა სპილენძისგანაა დამზადებული და მას ბროწეულები და ოქროს ტოტები ახატია. XV საუკუნეში მცხოვრები იმპერატორ სიუანდესთვის სულ 5 ასეთი ზარდახშა დაამზადეს, თითოეულ მათგანზე განსაკუთრებული იეროგლიფებია დატანილი. სამი არტეფაქტი ამჟამად მუზეუმებში ინახება, ორი კი – კერძო პირებთან.

სტიმულიც ამას ჰქვია...

რუსეთის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება სამხედროებს შეღავათებს სთავაზობენ. ერთ-ერთი შეღავათი სამხედროების სპერმის უფასო გაყინვას ითვალისწინებს.

გავრცელებული ინფორმაციით, მაგალითად, დიდ ნოვგოროდში ჯარისკაცებს ცენტრალურ მოედანზე სოსისით ვაჭრობა შეუძლიათ, ხოლო სარატოვში უფასოდ შეუძლიათ ეწვიონ სტრიპტიზ-კლუბს. რიზინსკში კი უფასოდ უცვლიან ზამთრის საბურავებს ზაფხულის საბურავებით და პირიქით. თათრეთის სულიერმა ლიდერმა კი რამადანის დროს მუსულმან ჯარისკაცებს მარხვის დარღვევის უფლება მისცა. იგივე უფლება ქრისტიან სამხედროებს რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამაც მისცა.

„ხელისუფლება სულ ახალ და ახალ სტიმულს იგონებს კაცებისთვის, რომ ისინი სანგრებში გაუშვან“, – წერს ტელეგრამ არხი.

ჩამოინგრა ოთხსართულიანი ავტოსადგომი

ნიუ-იორკში, მანჰეტენზე ოთხსართულიანი ავტოსადგომის ჩამონგრევის შედეგად, სულ მცირე, ერთი ადამიანი დაიღუპა და ხუთი დაშავდა.

სასწრაფო დახმარების პერსონალს შენობიდან დაშავებულების გამოსაყვანად სპეცტექნიკის გამოყენება მოუწია. შენობაში მყოფი ერთ-ერთი მუშა ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ხუთი დაშავებული ადგილობრივ საავადმყოფოშია გადაყვანილი. მედიის მიერ გავრცელებულ კადრებში ჩანს, რომ ბეტონის ფილებს შორის რამდენიმე მანქანაა მოყოლილი. ნიუ იორკის მერიის ცნობით, ავტოსადგომის შენობას ბზარები აღენიშნებოდა.

მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი სამართალდამცავებს დაუპირისპირდა

კიევ-პეჩერის ლავრის ტერიტორიაზე მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი სამართალდამცავებს დაუპირისპირდა.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, ადგილზე მყოფმა მოქალაქეებმა კულტურის სამინისტროს მიერ დალუქული შენობის დამცავი ცხაურები დააზიანეს. მოსკოვის საპატრიარქოს მრევლმა შენობაში შესვლა სცადა, რომელიც გუშინ დილით კულტურის სამინისტროს კომისიამ დალუქა. კიევის პოლიციის ინფორმაციით, ამჟამად ინციდენტის იურიდიული კვალიფიკაციის საკითხი წყდება.

უკრაინის კულტურისა და საინფორმაციო პოლიტიკის მინისტრმა, ალექსანდრ ტკაჩენკომ განაცხადა, რომ კომისიამ უკვე მოახერხა კიევ-პეჩერის ლავრის სამი შენობის შემოწმება. კიევ-პეჩერის ლავრის ტერიტორიაზე მისულმა მოქალაქეებმა სასამართლოს გადაწყვეტილების ჩვენება მოითხოვეს, რომელიც მათ ქმედებას ამართლებს.

ინდოეთი ჩინეთს მოსახლეობის რაოდენობით გადაუსწრებს

გაეროს მონაცემებით, მიმდინარე წლის მეორე ნახევარში ინდოეთი ჩინეთს მოსახლეობის რაოდენობით გადაუსწრებს.

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) შეფასებით, მიმდინარე წლის მეორე ნახევარში ინდოეთის მოსახლეობა 1.4286 მილიარდ ადამიანს შეადგენს, ხოლო ჩინეთის – 1.4257 მილიარდს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყნის მოსახლეობა გლობალური მოსახლეობის მესამედზე მეტია, მოსახლეობის ზრდა ორივე ქვეყანაში შენელდა, თუმცა ჩინეთში ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე ინდოეთში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 24 აპრილს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5170; ევრო - 2.7536;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1284;
100 რუბლი - 3.0805; თურქული ლირა - 0.1305;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4832;
1000 სომხური დრამი - 6.5039

ამინდი 21 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+9,	დღე +17
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე +15
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+7,	დღე +16
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე +14
თბილისი:	ღამე	+12,	დღე +18

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge